ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 25 აპრილი, 2013 №97 (6098) ფასი: 30 თეთრი

25 აპრილიდან „ახალი თაობა“ + მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ტომი 2 ჩეხური ზღაპრები 6 ლარი




# „პრეზიდენტის სასახლეში 2 კაცი შეიპარა“

პრეზიდენტის ადმინისტრაცია სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ბრალს სდებს



გვ.3



## ირაკლი ღარიბაშვილი დათა ახალაიასთან თანამშრომლობას აპირებს

გვ.2



## გელა ნიკოლაიშვილი: „მე ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის განხილვის წინააღმდეგი ვარ“

გვ.5



## სააკაშვილისგან დადებული ვეტოს დაძლევას პარლამენტი მომავალ კვირას შეეცდება

გვ.3





## გელა კვაჭანტირაძე: „ნაციონალები პოლიტიკური სცენიდან უკვე გაქრნენ“

გვ.2

რატომ უნდა ვაღიაროთ ახალაიები რეჟიმის მსხვერპლად

## ჟურნალისტი ირაკლი აბსანძე გაათავისუფლეს

გვ.2

## ვაკეში გიგა ნასარიძეს სცემეს

ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე, გუშინ გიგა ნასარიძეს გამვლელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. აღნიშნულის შესახებ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ნასარიძის მეუღლემ გაავრცელა ინფორმაცია.

ნასარიძის მეუღლე წერს, რომ პატრულმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რეაგირება მხოლოდ მისი ყვირილის შემდეგ მოახდინა.

„გიგა ფალიაშვილის ქუჩაზე ვიღაც მეოცნებემ გააჩერა და დაარტყა. შორიახლო მდგომმა პატრულმა ჩემს ყვირილზე გამოხმაურება იკადრა, ოღონდ თავდამსხმელს მიმალვის საშუალება მისცა“, – წერს გიგა ნასარიძის მეუღლე.

ნიუსპრესი



## გურამ ოდიშარია: „კულტურის სამინისტრო რაბათის ციხის დანგრევას არასდროს აპირებდა“

გვ.4

17 აპრილიდან! „ახალი თაობა“ + ლეონარდო და ვინჩი 8 ლარი




ISSN 1987-9385

6 რას დაპირდა დავით დარახველიძე „ქართულ-ოსურ მისიას“

7 მაია ფანჯიკიძე აშშ-ს სახელმწიფო მდივანი საქართველოში დაპატიჟა

6 უმერო ქუთაისი

7 პაატა იმნაძე: „მოსახლეობა აცრებზე უარს ამბობს“

# გელა კვაჭანტირაძე: „ნაციონალები პოლიტიკური სცენიდან უკვე გაქრნენ“

## რატომ უნდა ვაღიაროთ ახალაიები რეჟიმის მსხვერპლად

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან



*— როგორ შეაფასებთ იმ შიდადაპირისპირებებს, რაც ხდება ნაციონალურ მოძრაობაში, აქვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალაიები პოლიტიკურ პარტიას ქმნიან?*

— ჯერ დადასტურებული არ არის ის, რომ ახალაიები პარტიას ქმნიან. ქართულმა ოცნებამ განიმტკიცა პოზიციები, 19 აპრილი გავიარეთ, არადა, აანონსებდნენ, რომ ეს მთლიანად შეცვლის პროცესებს, შეიძლება პრეზიდენტს დაეთხოვა მთავრობა, ეს საფრთხე გავლილია, რეალურ ძალას ნაციონალური მოძრაობა აღარ ფლობს. ამ პარტიაში ყველა აქტიურად ცდილობს, თავი გადაირჩინოს, თავი აარიდოს პასუხისმგებლობას. მოსალოდნელია, რომ შიგნით ამ პარტიაში პროცესები კიდევ უფრო გამწვავდება. ძირითადი აქცენტი გადავიდა ახალაიებზე, მერაბიშვილი გავიდა გვერდზე, ინტერესების ბალანსი დაირღვა ნაციონალების შიგნით. ეს დაპირისპირებები წინ გველოდება, მათი გავლენის არეალი ძლიერ შეზღუდულია, უკვე ფინიშისკენ მიდიან.

*— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკიდან გაქრება?*

— პრაქტიკულად გამქრალიც არის ქართული პოლიტიკიდან, მხოლოდ ძველი გავლენები აქვს შემორჩენილი, დროის ამბავია ის, რომ მათ ეს გავლენები დაკარგონ. ენდიაის ბოლო კვლევებით ჩანს, რომ ნაციონალების გავლენა და რეიტინგი დაეცა. ხოლო თუკი აქვთ პროცენტები, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ფლობენ ბერკეტებს ხელისუფლების ზოგიერთ რგოლში. შეიძლება ნაწილმა თავი გადაირჩინოს და განიცადოს ტრანსფორმაცია.

*— ამ ფონზე როცა ნაციონალებში მძიმე გარჩევებია, მთავარი პროკურორი აცხადებს, რომ შესაძლებელია დათა ახალაიას სასჯელი შეუმსუბუქდეს, თუ ის ითანამშრომლებს გამოძიებასთან, ხოლო ექსპერტი გია ხუხაშვილი ამბობს, რომ ახალიები რეჟიმის მსხვერპლნი იყვნენ. თქვენი აზრით, რა ხდება?*

— ამ რეჟიმის მსხვერპლი არა მარტო ახალაიები არიან, არამედ თითოეული ჩვენგანი. მთავარია, ვინ იყო ამ ქმედებების შემოქმედი, ვინ იყო შემკვეთი და ვინ იყო — შემსრულებელი. საზოგადოების ნაწილი აჩქარებს გამოძიებას, რომ სამართლიანობა აღდგეს. მეორე მხრივ, სამართალდამცავი სტრუქტურები მტკიცებულებებს აგროვებენ და ეს პროცესი ნელი ტემპით მიდის, ორივე ეს პროცესი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. საპროცესო გარიგებები შეიძლება დაეხმაროს პროცესების დაჩქარებას. ამაზეა საუბარი, თორემ თუკი დათა ახალაიას დაუმტკიცდება მძიმე დანაშაული, რაზეც საუბარია საზოგადოებაში, ის, რა თქმა უნდა, პასუხს აგებს.

*— პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხუხაშვილი ადეიშვილის ყოფილი მოადგილე დავით ჩხატარაშვილი და ლაშა ნაცვლიშვილი მოლაპარაკებებს მართავდნენ დათა ახალაიასთან, იქვე დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ ახალაია არ აპირებს არავის ჩაშვებას. ხომ არ ფიქრობთ, რომ მოლაპარაკება მასთან ჩაიშალა?*

— სოციალური ქსელების თუ საგაზეთო სტატიების საფუძველზე გამიჭირდება ასეთი კომენტარის გაკეთება, თუმცა, ვიცი, რომ ამას არ ადასტურებს ახალაიას ადვოკატი, მე მაინც ამას განვიხილავ, როგორც ჟურნალისტურ აჟიოტაჟს. მე უფრო მეტად ყურადღებას მივაქცევდი პრემიერ-მინისტრის გამოსვლას ევროსაბჭოს სხდომაზე. მან უკანასკნელი საყრდენი ბოძი გამოაცალა ნაცმოძრაობის პროპაგანდას, თითქოსდა ის პრორუსული ძალაა და ვნახეთ მისი განცხადებები, რომ მივდივართ ევროკავშირისკენ, ნატოსკენ, ახლა ბევრი დანაშაულში ეჭვმიტანილი ნაცმოძრაობის ლიდერი შეეხვეწება ახალ ხელისუფლებას თანამშრომბლობას.

*— ეს ნაცდაპირისპირებები აქტუალურია საზოგადოებაში და ამით თითქოს ხდება მნიშვნელოვანი საკითხების გადაფარვა. სოციალური ფონი რთულია, ეკონომიკა სტაგნაციაშია და ბიზნესი ვერ აქტიურობს, თქვენ ასე არ მიგაჩნიათ?*

— რა თქმა უნდა, ყოველდღე ამ დაპირისპირებების ყურება ადამიანს ბეზრდება, როცა ლუკმა-პურზე უნდა იფიქროს, არ ნიშნავს რომ სტაგნაციააა და ეკონომიკა არ ვითარდება? ამაზე ნაციონალები ახდენენ აპელირებას.

*— მარტო ისინი არ საუბრობენ ამაზე, ჯონდი ბაღათურიამაც ისაუბრა ამ თემებზე.*

— ეს არის მხოლოდ ჯონდი ბაღათურიას განცხადება და მეტი არაფერი, ჩვენ ვნახეთ საზოგადოების განწყობა ენდიაის კვლევებში, ეს არის სოლიდური და ფართომასშტაბიანი კვლევები, ქართული ოცნების, მისი ლიდერების რეიტინგები არის ძალიან მაღალი, არასაპარლამენტო ოპოზიცია ცდილობს პოლიტიკურ სივრცეში თავი დაიმკვიდროს, ექვს-შვიდ თვეში ვითარება რადიკალურად ვერ შეიცვლება, უკან არ მივდივართ, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც წინსვლას ვხედავ. ბიუჯეტი ივსება, პრობლემები ისევე არის ბიზნესში, მე ვთვლი, რომ ვემზადებით წინსვლისკენ, მომავალში კი ველოდები უფრო სერიოზულ წინსვლას.

*— ბიძინა ივანიშვილმა ევროპის სახალხო პარტიასთან ურთიერთობის გარკვევის დროს თქვა, რომ მან უსუფაშვილს წერილი დააწერინა, მოგვიანებით განაცხადა, რომ უსუფაშვილს ტელეფონით ესაუბრა და დაარწმუნა, რომ სარეიტინგო კენჭისყრა აუცილებელი იყო, ახლა კობა დავითაშვილზე თქვა, რომ საკმაოდ ვეჩხუბეო. ხომ არ ხდება ისე, რომ კოალიციაში ერთპიროვნულად მიიღება გადაწყვეტილებები და განსხვავებული აზრი არ არის გათვალისწინებული?*

— კოალიცია შედგება სხვადასხვა პარტიებისგან, ამავე დროს თანამდებობის პირები არიან ამ კოალიციის წევრები, კობა დავითაშვილმა რამდენჯერმე შეცვალა პოზიცია, ჯერ დაადანაშაულა სერგიენკო, მერე ახსნა-განმარტება მოაყოლა და მოიბოდიშა, რომ ასე არ ყოფილა, ბუნებრივია, რომ საყვედური დაიმსახურა, როცა ასეთ განცხადებებს აკეთებ, ჯერ კოალიციის შიგნით უნდა გაერკვიო, თუკი არის პრობლემა და აღარ შეგიძლია კოალიციაში დარჩენა, მაშინ ის უნდა დატოვო. ამიტომ საყვედური დავითაშვილის მიმართ მიმაჩნია, რომ ობიექტური და სწორი იყო. კობა ვერ ახერხებს ჩაეწეროს გუნდში და ეს პოლიტიკაში პატარა მინუსი არ არის. რაც შეეხება ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, ბიძინა ივანიშვილი კოალიციის ლიდერია, მისი წვლილი უზარმაზარი და გადამწყვეტია გამარჯვებაში, ვიცნობ კოალიციის სხვა წევრებს და ვიცი, რომ ერთპიროვნული ვერ იქნება გადაწყვეტილებები, არის რამდენიმე ძლიერი პარტია, არის პარლამენტი, მისი ლიდერები, კონტექსტი თუ მე სწორად გავიგე, ამ კითხვისა ის არის, ხომ არ იქნება საფრთხე ისევ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებისა, ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ ეს ხელისუფლება. ეს საფრთხე გამორიცხული არ არის, ყურადღებით ვაკვირდებით კოალიციის ქმედებებს, არ დაიმალება ის პროცესები, რომელიც დაკავშირებული იქნება ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებთან. მას კი, რა თქმა უნდა, სამოქალაქო სექტორი გააპროტესტებს.

# ირაკლი ღარიბაშვილი დათა ახალაიასთან თანამშრომლობას აპირებს





შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოში უცნაური ამბები ხდება. არჩევნებამდე მეოცნებეები გამუდმებით იმას გვიმტკიცებდნენ, რომ სამართლიანობას აღადგენდნენ. დამნაშავეთა დასჯასაც არაერთხელ დაგვპირდნენ. დასასჯელთა სიაც საკმაოდ ვრცელი იყო. ამ სიაში ახალაიები ლიდერობდნენ.**

ერთ–ერთი ახალაიათაგანი, ბაჩო, ციხეში ზის. დათა კი გაქცეულია. მეოცნებეებმა მასზე ერთი პერიოდი ძებნაც გამოაცხადეს, მაგრამ ახლა რაღაც ენის მოჩლექით ელაპარაკებიან.

მოგეხსენებათ, რომ დათა ახალაია ვანო მერაბიშვილს დაუპირისპირდა. ის მასზე კომპრომატების გამოქვეყნებასაც კი აპირებს. ამბობდნენ, რომ ის საქართველოში 18 თებერვალს უნდა ჩამოსულიყო.

დათა არ ჩამოვიდა, მაგრამ მეოცნებეებმა მასზე ძალიან თბილად დაიწყეს საუბარი. ჯერ არჩილ კბილაშვილმა გვითხრა გადაკვრით, რომ თუ დათა გამოძიებასთან ითანამშრომლებს, მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა აღარ განხორციელდება. გუშინ კი უკვე ირაკლი ღარიბაშვილმა გაგვაბედნიერა.

დღეს ბევრი ამტკიცებს, რომ ახალაია უკვე საქართველოშია და მას სასულიერო პირები მალავენ.

— არ ვფლობ ინფორმაციას, რომ კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი დათა ახალაია სამეგრელოს აფარებდა თავს და მას სასულიერო პირები უწყობდნენ ხელს, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაზეთ „ყველა სიახლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

შს მინისტრი სოციალურ ქსელში დათა ახალაიას სახელით გავრცელებულ განცხადებასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ახალაია კუდ-ის ხელმძღვანელი იყო და მას ბევრ ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებოდა.

— სწორედ ამიტომ, ჩვენს უწყებასთან მისი თანამშრომლობა საინტერესო იქნება. გამორიცხული არ არის, აქედან გამომდინარე, მას შეღავათიც გავუწიოთ. თუ ახალაიას აქვს სურვილი, თავის ქვეყანას და ხალხს უთხრას სიმართლე, რა ხდებოდა რეალურად და რა დავალებებს აძლევდნენ მას, ეს გამოძიებას იმ მრავალი საქმის გახსნაში დაეხმარება, რომელიც დღემდე ბურუსითაა მოცული. არ გამოვრიცხავ მასთან თანამშრომლობას, გამოძიებისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, — განუცხადა „ყველა სიახლენს“ ირაკლი ღარიბაშვილმა.

სამართალდამცავების ამგვარ დამოკიდებულებას ხალხში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. განსხვავებული პოზიციები აქვთ მეოცნებეებსაც.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, ის ვერც მოუწონებს და ვერც დაიწუნებს სამართალდამცველების გადაწყვეტილებას, რომლებსაც ისინი კუდ-ის ყოფილი უფროსის დათა ახალაიასთან დაკავშირებით მიიღებენ.

— ვერაფერს გეტყვით ამაზე. სამართალდამცველი ორგანოები დაკავებულნი არიან თავისი საქმით. ისინი მოქმედებენ კანონის შესაბამისად და კანონი რის საშუალებასაც აძლევს სამართალდამცველ ორგანოებს, პროკურატურას, პოლიციას, ამა თუ იმ დანაშაულის გახსნისთვის, იმ ფარგლებში მოქმედებენ, ასე რომ, გამოიყენებენ თუ არა თავიანთ დისკრეციას, ვისთან რა ტიპის ურთიერთობა ექნებათ კანონის ფარგლებში, ეს მათი პრეროგატივაა. მე ვერც მოვუწონებ და ვერც დავიწუნებ, ეს მათი პასუხისმგებლობაა, — განაცხადა უსუფაშვილმა.

რამდენიმე დღის წინ დავით უსუფაშვილმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ნაციონალების გადარჩენა ქართულ დემოკრატიას სჭირდება.

დათა ახალაიას გარშემო მედიით ახალ-ახალი განცხადებები ვრცელდება. ინტერნეტ გამოცემა „სმო“ როლანდ ახალაიას საარჩევნო შტაბის ერთ-ერთ მთავარ ფიგურასთან და ახალაიების ოჯახის ახლობელთან ექსკლუზიურ ინტერვიუს აქვეყნებს — ინკოგნიტო წყარო გამოცემასთან ახალაია-მერაბიშვილის დაპირისპირებაზე საუბობს, მისი განცხადებით, დათა ახალაიას მერაბიშვილზე ვიდეო, აუდიო და დოკუმენტური კომპრომატები აქვს.

— ლაფანყურის ოპერაციის „შეტენვა“ მერაბიშვილმა ბაჩო ახალაიას მოუნდომა. ეს დროულად გაიგო დათა ახალაიამ და სწორედ ამასთან დაკავშირებით მიადგა ის მერაბიშვილს... ამის შემდეგ ბაჩო ახალაია პირადად მივიდა პრეზიდენტთან და ყველაფერი მოუყვა თუ რა გეგმა ჰქონდა მერაბიშვილს ჩადებული ლაფანყურის ოპერაციაში. ბაჩო ახალაიას უნდოდა ამის საჯაროდ გახმაურებაც, მაგრამ პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნით მან ეს ისტორია საიდუმლოდ შეინახა. აქედან გამომდინარე, ბაჩოს ძალიან ბევრი კომპრომატი გააჩნდა და გააჩნია ვანო მერაბიშვილის დასაკავებლად. ეს ყველაფერი თავად პრეზიდენტმაც იცოდა, ანუ იცოდა ის, რომ ბაჩოს ჰქონდა ვიდეო, აუდიო და დოკუმენტური მასალები მერაბიშვილის წინააღმდეგ, თუმცა მან სთხოვა, ეს არჩევნებამდე არ გამოეყენებინა, — აცხადებს ინკოგნიტო რესპონდენტი.

ვრცელდება ცნობები იმის შესახებაც, რომ დათა ახალაია აღდგომას ზუგდიდში შეხვდება. ვნახოთ, აღდგომამდე ცოტა დრო დარჩა.

# ჟურნალისტი ირაკლი აბსანძე გაათავისუფლეს

სამართალდამცავების მიერ დაკავებული ჟურნალისტი ირაკლი აბსანძე გაათავისუფლეს. როგორც „მედიანიუსს“ ჟურნალისტის ადვოკატმა, გაგი მოსიაშვილმა განუცხადა, დაკავებული პროკურატურის უფლებამოსილებით გათავისუფლდა და ეს საპროცესო კანონმდებლობით შესაძლებელია.

„სასამართლო პროცესი არ გამართულა და შესაბამისად, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე მსჯელობა არ გამართულა, თუმცა ის გათავისუფლდა. რადგან ფაქტობრივი გარემოება არ არსებობდა, პროკურატურამ ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პროკურატურამ საქმის წარმოება შეწვიტა. მას ბრალი ოფიციალურად წაუყენეს და ნარკოტიკების განზრახ შენახვა-შეძენას ედავებიან“, — აღნიშნა ადვოკატმა. მოსიაშვილის განმარტებით, პროკურატურის უფლებაა, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმართავს თუ არა სასამართლოს.

მოსიაშვილი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხზე საქმის წარმოება საერთოდ უნდა შეწყდეს, რადგან ჟურნალისტის ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს.

შეგახსენებთ, რომ სამართალდამცავებმა ჟურნალისტი ირაკლი აბსანძე 23 აპრილს ღამით დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, აბსანძეს მეგობარმა საფრანგეთიდან ამანათი გამოუგზავნა, რომელშიც სამართალდამცავებმა „მარიხუანა“ აღმოაჩინეს.

ირაკლი აბსანძე ტელეკომპანია „მე 9“ არხის პროდიუსერი იყო. ამჟამად ის „ლიბერალში“ მუშაობს.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## ომბუდსმენი მაგამედოვის გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, მაგამედ მაგამედოვის გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.

როგორც „ნიუსპრესს“ ომბუდსმენის აპარატიდან აცნობეს, 2013 წლის 23 აპრილს, საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2013 წლის 19 აპრილს თბილისში, დაღესტნელი მოჯაჰედი – მაგამედ მაგამედოვი გაუჩინარდა. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე დაკარგულის მეგობრებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეს.

„საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნული ფაქტის საკუთარი ინიციატივით შესწავლა დაიწყო. კერძოდ, ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველმა, მაგამედ მაგამედოვის გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.

საქართველოს სახალხო დამცველი პერმანენტულად მიადევნებს თვალყურს მაგამედოვის გაუჩინარების საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოების მიერ წარმოებული გამოძიების მიმდინარეობას“-ნათქვამია განცხადებაში.

ამავდროულად, საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მაგამედ მაგამედოვის გაუჩინარების ფაქტზე დაწყებული გამოძიების ეფექტიანად წარმართვის მიზნით. **ნიუსპრესი**

# ანდრო ბარნოვი: „პრეზიდენტის სასახლეში 2 კაცი შეიპარა“

## პრეზიდენტის ადმინისტრაცია სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ბრალს სდებს

შორენა მარსაგიშვილი

**უჩვეულოდ აქტიურად შეუდგა მოღვაწეობას ანდრო ბარნოვი. მას შემდეგ რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა 2 დღე გავიდა და 2 სკანდალური ცნობა გააჟღერა.**

23 აპრილს გვაუწყა: პრეზიდენტმა პარლამენტის მიღებულ კანონს ვეტო დაადოო. გუშინ კი სულ დაგვზაფრა. გვამცნო: პრეზიდენტის სასახლეში 2 მამაკაცი შეიპარაო. ამაში ბარნოვი სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს ადანაშაულებს.

ანდრო ბარნოვის განცხადებით, სახელმწიფო დაცვის ს[ეციალურმა სამსახურმა ორი უცნობი პირი პრეზიდენტის სასახლის იმ ნაწილში შეუშვა, სადაც შიდა საკომუნიკაციო ქსელიდან ნებისმიერი ინფორმაციის გატანა შეიძლება.

– იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტის დაქვემდებარებაში იყო, აქ მოქმედებდა ასეთი პრაქტიკა – თუ სატელეფონო ხაზებს რაიმე პრობლემა ექმნებოდა, ამ შემთხვევაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოთხოვნით, შესაბამისი ტექნიკური ჯგუფი მოდიოდა და ამ პრობლემას აგვარებდა. დღეს, დღის პირველ ნახევარში ყოველგვარი მოთხოვნისა და ინფორმირების გარეშე ორი გაურკვეველი პიროვნება, რაღაც ვერცხლისფერი მანქანით მოვიდა და ამის შესაბამისი ვიდეოც არსებობს, გამოვითხოვეთ და მალე გვექნება. იმ შემოსასვლელიდან შემოვიდნენ, საიდანაც შემოსვლის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს, პატრიარქსა და პრემიერ-მინისტრს აქვს. არანაირი ნებართვა არ ჰქონდა დაცვას, რომ ისინი შემოაშვათ. ამის მიუხედავად, შემოუშვეს ეს ადამიანები. შემდეგ სახანძრო დაცვის წარმომადგენლებმა, რომლებიც ასევე ამავე, ანუ პრემიერს დაქვემდებარებაში მყოფ დაცვის სპეციალურ სამსახურს ექვემდებარებიან, მათ ე.წ. სასერვეროს გასაღები გადასცეს. რაც შეეხება მეორე გასაღებს, რომელიც არის ე.წ. სვიჩრუმის გასაღები, ეს ძალიან სენსიტიური ადგილია, მათ თვითნებურად მოიპოვეს ჩვენი Iთ-ის სამსახური უჯრიდან, შევიდნენ ამ ოთახში, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი მიზნით. შემდეგ მოხდა, როდესაც ჩემმა მოადგილემ Iთ-ის ხელმძღვანელმა ეს ინფორმაცია გაიგეს, დაადგნენ თავზე და ჰკითხეს, თუ რას საქმიანობდნენ და რა უფლებით იყვნენ. ძალიან დაიბნენ ეს ადამიანები, არანაირი განმარტება არ მიუციათ. თქვეს, რომ ჩვენ ასე გვითხრეს და მოვედით, თუმცა ვინ უთხრა, ეს ვერ დაასახელეს. ყველაფერი სასწრაფოდ აკრიფეს და შენობა დატოვეს. მინდა, გკითხოთ თქვენ და მივმართო საზოგადოებას, რომ თავად დაარქვან სახელი რაც ხდება და რამდენად შეესაბამება იმ რეალობას, როდესაც პრემიერი და მისი გუნდი ამბობენ, რომ პრეზიდენტის უსაფრთხოება დაცულია. პრეზიდენტის სასახლეში არსებული კომინიკაციები არის სრულიად დაცული და იზოლირებული და იქედან ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მოხლოდდამხოლოდ ამ წერტილიდან, სადაც დღეს ჩვენთვის უცნობმა პირებმა შეაღწიეს. კიდევ ერთი კითხვით მივმართავ საზოგადოებას, როდესაც ასეთი რაღაც პრეზიდენტის სასახელში ხდება, მაშინ რა შეიძლება მოხდეს სხვაგან? როდესაც დღეს ჩვენი მთავრობა გვიმტკიცებს, რომ მოსმენები არ მიმდინარეობს, მაშინ რა უნდოდათ სრულიად დაუკითხვად ჩვენთვის უცნობ პირებს ამ შენობაში და სწორედ იმ ადგილას, სადაც სასახლის შიდა საკომუნიკაციო ქსელიდან ნებისმიერი ინფორმაციის გატანა შეიძლება, – განაცხადა ბარნოვმა.



პრეზიდენტის ადმინისტრაცია მიმართავს სათანადო სამსახურებს, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყონ.

ანდრო ბარნოვი მოითხოვს რომ საზოგადოებას სასწრაფოდ მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია, თუ რასთან გვაქვს საქმე.

# სააკაშვილისგან დადებული ვეტოს დაძლევას პარლამენტი მომავალ კვირას შეეცდება

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დანაპირები შეასრულა და პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს ვეტო დაადო. ქვეყნის პირველმა პირმა ვეტოს უფლება უკვე მეორედ გამოიყენა. პირველად მან ამ მეთოდს გასული წლის დამლევს მიმართა. მაშინ საოცნებო პარლამენტმა პრეზიდენტის დადებული ვეტო დაძლია. საპარლამენტო უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ახლაც ასე იქნება. ამაში ეჭვი არც პარლამენტის სპიკერს დავით უსუფაშვილს ეპარება.**

ვეტოს დადების შესახებ ერს ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახლად დანიშნულმა უფროსმა ანდრო ბარნოვმა მიაწოდა. აღსანიშნავია, რომ ვეტოს დადება სტრასბურში ბიძინა ივანიშვილის გამოსვლას დაემთხვა. ამ გამოსვლამ სრულიად ნაცმოძი და მიხეილ სააკაშვილი ძალიან გაამწარა.

– საქართველოს პრეზიდენტმა გამოიყენა კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და ვეტო დაადო საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებს. პირველი საკითხი შეეხება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებას და საბჭოს მოქმედი შემადგენლობისთვის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტას. ვეტოს გამოყენებას ამ შემთხვევაში საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ პარლამენტმა უგულებელყო ვენეციის კომისიის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული პოზიცია, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ის შეეხება არა თეორიულ მოდელს, არამედ იმ რეალურ კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც ეს ცვლილება ხორციელდება. კომისიის მკაფიო რეკომენდაციით, იუსტიციის საბჭოების მნიშვნელოვანი ფუნქციაა მოსამართლეების დაცვა პოლიტიკური ზეგავლენისგან. სწორედ აღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე, არამართებული იქნება საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის სრული განახლების დაშვება. პარლამენტმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ზომების მიღებისგან, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის უწყვეტობას საფრთხეს შეუქმნის. საბჭოს ყველა წევრის ვადამდელი გათავისუფლება შექმნის პრეცედენტს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ახალ მთავრობასა და ახალ პარლამენტს, რომელიც მხარს არ უჭერს საბჭოს შემადგენლობასა და წევრებს, მისი ვადამდელი დათხოვნა და ახალი საბჭოთი ჩანაცვლება შეეძლება. ამგვარი ცვლილება საშუალებას იძლევა, რომ მიმდინარე საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოზე ზემოქმედება განხორციელდეს.



შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის პროექტით უფლებამოსილება ვადამდე უწყდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრიდან 13-ს. შესაბამისად, ამ პრინციპულ საკითხში ვენეციის კომისიის რეკომენდაციები სრულიად უგულებელყოფილია და ეს პრემიერ-მინისტრს დღეს ევროპის საბჭოს წინაშე გამოსვლისას კიდევ ერთხელ შეახსენეს, – განაცხადა ბარნოვმა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც პრეზიდენტი ასევე ვეტოს უფლებას იყენებს, ეს შეეხება ბრალდებულის უფლების შეზღუდვას, თავად აირჩიოს მის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე განხილულ იქნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ თუ მის გარეშე.

– არსებული პროექტით, ბრალდებულის ნაცვლად, ამ გადაწყვეტილებას პროკურატურა მიიღებს. არასამთავრობო სექტორის აზრით, მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებასთან დაკავშირებით პროექტი დამატებით რისკებსაც შეიცავს. ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ პრეზიდენტის დასახელებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის განმარტებები მიგვეცა, – აღნიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა.

ანდრო ბარნოვის განმარტებით, ვეტოდადებული კანონპროექტები საქართველოს პარლამენტს შემდგომი განხილვისთვის 23 აპრილს გადაეგზავნა.

საკანონმდებლო ორგანოში ამ ამბავს დიდი სიხარულით შეხვდნენ. კოალიცია „ქართული ოცნება“ ვეტოს დასაძლევად მომავალ კვირას გაირჯება.

შეგახსენებთ, რომ უმრავლესობას პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის მხარდაჭერა, ანუ, სულ მცირე, 89 დეპუტატის მობილიზება სჭირდება. იქედან გამომდინარე, რომ მმართველი ძალა 83 დეპუტატით არის წარმოდგენილი, ხელისუფლებას ვეტოს დასაძლევად უმცირესობის რიგებიდან გასული მაჟორიტარების მხარდაჭერა დასჭირდება.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, როდესაც პრეზიდენტი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს ხელს არ აწერს, ორგანოს უკან საკუთარი შენიშვნებით უბრუნებს და პარლამენტი თავდაპირველად კენჭს სწორედ პრეზიდენტის შენიშვნებს უყრის. პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შენიშვნების მიღების შემთხვევაში, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია პრეზიდენტს გადაეცემა, რომელიც შვიდი დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას. იმ შემთხვევაში კი, როცა პარლამენტი პრეზიდენტის შენიშვნებს არ იღებს და კენჭისყრის შედეგად მის მიერ შეთავაზებულ ვარიანტს არ იღებს, მას პარლამენტის თავმჯდომარე აწერს ხელს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტი პრეზიდენტის ვეტოს ამჯერადაც წარმატებით დაძლევს. როგორც უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმირების წინააღმდეგო არანაირი არგუმენტი არ აქვთ, გარდა იმისა, რომ მათ სასამართლოებში არსებული მდგომარეობის შეცვლა არ სურთ.

– ვეჭვობ, რომ პრეზიდენტმა რაიმე ისეთი საყურადღებო შემოგვთავაზოს, რასაც ჩვენ გავიზიარებთ. ასე რომ, პარლამენტში მოსალოდნელია კენჭისყრა და დარწმუნებული ვარ, რომ ვეტოს წარმატებით დავძლევთ. ჩვენ მიერ მიღებული კანონები სასარგებლოა ქვეყნისთვის, სასამართლოსთვის, რაზეც ძალიან პირდაპირ და მკაფიოდ მიუთითებს ყველა, მათ შორის – ვენეციის კომისიაც. მოგეხსენებათ, პრეზიდენტის ერთადერთი არგუმენტი, რის საფუძველზეც მან ეს რეფორმა დაბლოკა და შეაფერხა, ისაა, თითქოს ვენეციის კომისიის დასკვნები არ გავიზიარეთ. ყველამ მოისმინეთ ვენეციის კომისიის პრეზიდენტის გუშინდელი განცხადება იმის შესახებ, რომ კომისია ცვლილებებს მიესალმება და თვლის, რომ რეფორმა სწორი მიმართულებით მიმდინარეობს. შესაბამისად, ახლა მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ არგუმენტი არ აქვთ, გარდა იმისა, რომ მათ არ სურთ, სასამართლოებში მდგომარეობა შეიცვალოს. სასამართლოებში მდგომარეობა უკეთესობისკენ და მოსამართლეების მეტი დამოუკიდებლობისკენ შეიცვლება, რაც ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს სჭირდება, – განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

ვეტოს დასაძლევან მობილიზებულმა უსუფაშვილმა გუშინ სხვა თემებზეც ისაუბრა. პარლამენტის სპიკერი გუშინ მარშალისა და ბოშის ფონდის დელეგაციების წარმომადგენლებს შეხვდა. სპიკერის განცხადებით, ბოდენის გეგმის კოპირება და დღეს განხორციელება უბრალოდ შეუძლებელია.

– შეხვედრა იყო ძალიან საინტერესო. 15-მდე ექსპერტია ჩამოსული. ჩვენ ვისაუბრეთ დემოკრატიულ ცვლილებებზე საქართველოში, მიმდინარე თემებზე, ექსპერტებს აინტერესებდათ, როდის დასრულდება პარლამენტის თბილისში დაბრუნების პროცესი, აინტერესებდათ, როგორ გაგრძელდება რეფორმები. იყო ძალიან მეგობრული, სასარგებლო საუბარი. დიტერ ბოდენთან აფხაზეთის თაობაზე მე არ მისაუბრია. პრემიერი შეხვდა მას ცოტა ხნის წინ და ეს კონტაქტები გაგრძელდება. რაც შეეხება იმას, მოსალოდნელია თუ არა კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით ბოდენის გეგმის გააქტიურება, ეს გეგმა შეიქმნა მაშინ, როდესაც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი არც ერთი სახელმწიფოს მიერ აღიარებული არ ყოფილა და საერთაშორისო მექანიზმები ბევრად ეფექტური იყო. დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის დამკვირვებლებიც კი ვერ შედიან. დღევანდელი მდგომარეობა არის აბსოლუტურად სხვა. შესაბამისად, ძველი გეგმის კოპირება და დღეს განხორციელება უბრალოდ შეუძლებელია, – დასძინა უსუფაშვილმა.

რაც შეეხება მარშალისა და ბოშის ფონდების 2012 წელს დაგეგმილი ვიზიტის ჩაშლას იმ მიზეზით, რომ საქართველოს პრეზიდენტმა არ ისურვა დიტერ ბოდენისა და გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატის ვიოლა ფონ კრამონის მიღება, უსუფაშვილის თქმით, დამთავრდა ის დრო ქვეყანაში, როდესაც ყველაფერს ერთი კაცი წყვეტდა და თან წყვეტდა არცთუ ისე სწორად.

– ახალი ხელისუფლება იღებს გადაწყვეტილებებს, მათ შორის უცხოელებთან დაკავშირებით, სოხუმთან დაკავშირებით, ჩვენ ვართ დაინტერესებული, რომ გვქონდეს მეტი კონტაქტები პირდაპირი და არაპირდაპირი, – დასძინა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ევროსაბჭოში ივანიშვილის გამოსვლასაც ვერ აუარა გვერდი. მას იმ აჟიოტაჟზეც მოუწია საუბარი, რაც ამ გამოსვლას მოჰყვა ნაციონალთა მხრიდან. უსუფაშვილის აზრით, ეს არის ისტერიკა, რომლის მოწყობის უფლებაც მათ აქვთ.

– რაღა დარჩენიათ სხვა უმცირესობას გარდა იმისა, რომ ახლა ამაზე ილაპარაკონ. იმიტომ, რომ თქვენ ნახეთ პრემიერ-მინისტრის გამოსვლა და მთელი ვიზიტი, რომელიც გრძელდება სტრასბურში, არის უკიდურესად წარმატებული. ჩვენი ევროპელი კოლეგები ყველა უწყებიდან არიან მონდომებულნი, ენთუზიაზმით სავსე, რომ ახალ ხელისუფლებასთან, ახალ მთავრობასთან, პრემიერ-მინისტრთან, გააგრძელოს თანამშრომლობა და კიდევ უფრო უკეთესი და სასურველი შედეგები მივიღოთ. ამის შემხედვარე „ნაციონალურ მოძრაობას“ ისღა დარჩენია, რომ ატეხონ ისტერიკები, თუ ეს მათი არჩევანია, მათ აქვთ სიტყვის თავისუფლება, მათ შორის, არასწორი სიტყვის თავისუფლება, – განაცხადა უსუფაშვილმა.

# გურამ ოდიშარია: „კულტურის სამინისტრო რაბათის ციხის დანგრევას არასდროს აპირებდა“

## თურქმა სპეციალისტებმა იშხანში აკლდამა აღმოაჩინეს

ნათია ხურცილავა



**კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, გურამ ოდიშარიამ ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა. მინისტრმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა და პირობაც დადო, მსგავსი კითხვა-პასუხი ტრადიციული გახდება სამინისტროში და პრესა ყველა კითხვაზე პასუხს მიიღებს.**

**პრესის დაინტერესება ძირითადად კულტურულ მემკვიდრეობას ეხებოდა, რომელიც უცხოეთის ტერიტორიაზეა. როგორია ახალი მინისტრის პოლიტიკა აღნიშნულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით?**

გაირკვა, რომ კულტურის მინისტრი ამ მიმართულებით ერთგვარი დიპლომატიური პოლიტიკის გატარებას აპირებს. ჩვენ მიერ დასმულ კითხვას კი ასე პასუხობს:

– ძეგლები, რომლებიც უცხო ქვეყნების, მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზეა, ურთიერთგაგების საშუალება უნდა გავხადოთ და არა პირიქით.

კულტურის მინისტრის განცხადებით, იშხანში აღმოჩენილ იქნა აკლდამა, რომელიც შეიძლება კიდევ უფრო მეტ მდიდარ ისტორიას ინახავდეს ჩვენი ქვეყნის შესახებ. აღმოჩენილ აკლდამასთან დაკავშირებით გაირკვა, რომ თურქული მხარე სპეციალისტის ჩასვლას ითხოვს.

– კარგად მოგეხსენებათ იშხნის თემა, ანუ ძეგლებისა, რომლებიც ჩვენს ტერიტორიაზე არ დგას და არის თურქეთში. სიახლე ის არის, რომ იქ აღმოჩენილი იქნა აკლდამა, თურქული მხარე დაგვიკავშირდა და ითხოვს იქ სპეციალისტების ჩასვლას. ალბათ, ეს უფრო იქნება არქეოლოგი და შესაძლოა, ჩვენ ძალიან მალე ისეთი აღმოჩენების წინაშე დავდგეთ, რომლებიც ჩვენს კულტურულ ცხოვრებას გაამდიდრებს და იშხანს, ოშკს უფრო მნიშვნელოვანს გახდის. – განაცხადა ოდიშარიამ.

მინისტრმა თურქულ მხარეს იშხანთან დაკავშირებით მადლობა გადაუხადა.

– შეთანხმების პროექტი, რომელიც მომზადდა სამინისტროსთან და სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გაჩერებულია პრეზიდენტთან, ჩვენ მაინც დავიწყეთ თანამშრომლობა, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ჩვენ კეთილი მეზობლები ვართ და ასე ერთობლივი ნაბიჯებით ყველა პრობლემას გადავწყვეტთ. საერთოდ არ არსებობს პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც მოლაპარაკების მაგიდასთან არ შეიძლება. – განაცხადა ოდიშარიამ.

რაც შეეხება კიდევ ერთ აქტუალურ საკითხს, რაბათის კომპლექსს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის განცხადებით, განხორციელდება თუ არა ცვლილებები რაბათის კომპლექსზე, დამოკიდებულია იმ შეთანხმებაზე, რომლის პროექტიც პრეზიდენტმა შეაჩერა.

მინისტრი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ რაბათთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროში გამართულ მრგვალ მაგიდაზე შეთანხმება ვერ შედგა და აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა ჭიქაში ქარიშხალი ატეხა.

– ეს იყო ქარიშხალი ჭიქაში, რადგან სამინისტროს არასოდეს განუცხადებია, რომ იქ რამის დანგრევას აპირებს, ეს არის ბრძოლა ქარის წისქვილებთან, რომელიც თვითონ მერაბიშვილმა მოიგონა. თურქული მხარის მოთხოვნაა, რომ გუმბათი იყოს ოქროსფერი და ცხაური იყოს უფრო სადა, სხვა არაფერი განსაკუთრებული მოთხოვნა მათ არ ჰქონიათ. – აღნიშნა ოდიშარიამ.

მინისტრის აცხადებს, რომ კომპლექსმა მასზე ცოტა უცნაური შთაბეჭდილება დატოვა, რადგან იქ სხვადასხვა კულტურული ფენაა აღრეული.

– როდესაც რაბათი ვნახე, თავი მეგონა ჰოლივუდის გადასაღებ მოედანზე, სადაც ეს– ესაა უცნაური ფილმის გადაღება უნდა დაწყებულიყო. – აღნიშნა ოდიშარიამ და დასძინა, რომ ძეგლის აღდგენა ნაჩქარევად მოხდა.

– ყველაფერი დამოკიდებულია ქართულ და თურქულ მხარეს შორის შეთანხმების პროექტზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა შეაჩერა. – აღნიშნა ოდიშარიამ.

ჟურნალისტებს ასევე აინტერესებდათ მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის მდგომარეობა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას განცხადებით, მცხეთის იუსტიციის სახლის მშენებლობა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაკონსერვებულია.

მცხეთაში რამდენიმე უკანონო მშენებლობა განხორციელდა, რომელიც სპეციალისტებთან შეთანხმებული არ იყო, მათ შორისაა, იუსტიციის სახლი, რომელსაც საძირკველი აქვს ჩაყრილი, თუმცა ამ ეტაპზე მშენებლობა შეჩერებულია.

მინისტრიეს განცხადებით, მას აღნიშნულ საკითხზე შეხვედრა ჰქონდა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან, სადაც იმსჯელეს თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მცხეთა, როგორც კულტურული ცენტრი, არ დაზიანდეს.

– მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეს მშენებლობა დაკონსერვდეს, ვიდრე საბოლოოდ არ გადაწყდება, უფრო მცირე ზომის უნდა იყოს ეს იუსტიციის სახლი, თუ მოხდეს მისი საერთო დემონტაჟი და ეს ტერიტორია გადასწორდეს. – აღნიშნა ოდიშარიამ.

როგორც ცნობილია, ორგანიზაცია „იკომო საქართველოს“ განცხადებით, „იუნესკო“ შეშფოთებულია მცხეთის ლანდშაფტის დაცვის ზონაში არსებული მშენებლობებით და ამ მშენებლობების დაუყოვნებლივ შეჩერებას ითხოვს.

ჟურნალისტებმა მინისტრს საქართველოში არსებულ სომხურ ტაძრებზეც ჰკითხეს და სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ეკლესიებზეც.

გურამ ოდიშარიას განცხადებით, სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესიების შესასწავლად ქართველი სპეციალისტები სომხეთში მაისისთვის ჩავლენ.

– სომხეთში ვიზიტისას პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ თბილისში არსებობს რამდენიმე სომხური ეკლესია და მათ რესტავრაცია ჩაუტარდება. პრემიერმა ეს თქვა ყოველგვარი ნაცვალგების გარეშე, რამაც ჩვენს სომეხ კოლეგებში ძალიან დიდი ნდობა გამოიწვია. ჩვენ როდესაც დავბრუნდით აქ, შევისწავლეთ ამ ძეგლების მდგომარეობა და მათი სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება, ალბათ, უახლოეს თვეში შეიძლება. – განაცხადა მინისტრმა და დასძინა, რომ ეს სომხურ მხარესთან შეთანხმებით გაკეთდება.

მინისტრის თქმით, ათიოდე დღის წინ ის კვლავ შეხვდა თავის სომეხ კოლეგას და შეთანხმდნენ, რომ სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლების შესასწავლად ქართველ სპეციალისტთა ჯგუფი სომხეთში მაისისთვის ჩავა. მინისტრი აცხადებს, რომ სომხეთში 13 ქართული ეკლესიაა და ქართველი სპეციალისტები ყველა მათგანის მდგომარეობას შეისწავლიან.

კულტურის მინისტრმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ასევე ისაუბრა რეგიონებში კულტურული ცხოვრების პროცესზე.

ოდიშარიას განცხადებით, საქართველოს რეგიონები საერთაშორისო კულტურული ცხოვრების თანამონაწილენი უნდა გახდნენ.

– ჩვენ შევქმენით მრგვალი მაგიდების სისტემა. მრგვალი მაგიდა იმისთვის კი არ გავაკეთეთ, რომ აქ გლადიატორთა ბრძოლები მოგვეწყო, არამედ იმისთვის, რომ ავაგეთ მშვიდი სადისკუსიო სივრცე, სადაც განსხვავებული აზრის ადამიანები მოდიოდნენ და როცა აქედან გადიოდნენ, ვერ ვიტყვი, რომ ერთ აზრზე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მათ შორის შემდგარი დიალოგი ნაყოფიერი იყო. ასევე ჩვენ შევქმენით საბჭოები და მინისტრი და მისი მოადგილეები მათ გაერთიანებული პროფესიონალების აზრს ვიზიარებთ. ჩვენ საზოგადოების აზრს ვითვალისწინებთ და ექსპერტებისაც. ამას წინათ, როდესაც ბრიტანეთში ვიყავი, მას ვკითხე, თუ რა პრინციპით ხელმძღვანელობდა და მან მითხრა, რომ მთლიანად საბჭოებს ეყრდნობიან. ჩვენ გვყავს ასევე მინისტრთან არსებული დიდი საბჭო, რომელიც სტრატეგიულ საკითხებს განიხილავს და კულტურის პოლიტიკასთან დაკავშირებით მუშაობს. გარდა ამისა, ჩვენ შევცვალეთ ზოგიერთი დეპარტამენტის მნიშვნელობა და გავაძლიერეთ ზოგიერთი განყოფილების არსი. ერთ-ერთი პრიორიტეტი, რომელიც გამოვყავით, რეგიონებთან მუშაობაა. ამას დიდ ყურადღებას ვუთმობთ, ამიტომ რეგიონების სამმართველო გავაძლიერეთ. ამასთან, სამინისტროს მიერ შემუშავებული მიზნობრივი დაფინანსების სტრატეგია გავაუმჯობესეთ, თითოეულ თეთრს ვაყურადებთ. – განაცხადა ოდიშარიამ.

მინისტრის ინფორმაციით რეგიონებში ხდება მასტერკლასების ჩატარება, რაც აქამდე არ იყო.

– შეიძლება, სადმე რეგიონში იყოს ნიჭიერი ბავშვი და ამის შესახებ არავინ იცოდეს. ვცდილობთ, რომ ყურადღების გარეშე არავინ დარჩეს. ასევე რეგიონებში მხატვრებიც ჩავლენ. – განაცხადა ოდიშარიამ.

კულტურის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შესაძლებელია ლევილის მამული საქართველოს შესაძლოა, წელსვე გადმოეცეს.

მისივე თქმით, სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი საზღვარგარეთ კულტურული ცენტრების შექმნაა.

– ლონდონში, ვენაში და ბრიუსელში ჩვენ ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა გვქონდა და ასევე უნდა აღვნიშნო ის, რომ ლევილში ჩვენი წარმომადგენელი მანანა ბერიკაშვილი პირველად იმყოფებოდა. ეს ეხება ლევილის გადმოცემას საქართველოსადმი, რაც ფაქტობრივად, ისეთ ფაზაშია იმყოფება, რომ შესაძლოა, წელსაც უკვე საქართველოს გადმოეცეს. ეს იქნება ასევე ჩვენი ერთ-ერთი კულტურული ცენტრი საფრანგეთში. – განაცხადა გურამ ოდიშარიამ.

## შიდა ქართლის გუბერნატორად ზურაბ ჩხეიძე დაინიშნა



პრეზიდენტის რწმუნებულად შიდა ქართლის მხარეში ზურაბ ჩხეიძე დაინიშნა. ამ პოსტზე მან ანდრო ბარნოვი შეცვალა.

ახალი გუბერნატორი მისმა წინამორბედმა თავად წარადგინა, რომელიც თავის მხრივ, გუშინწინ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დაინიშნა.

„მე პრეზიდენტთან კონსულტაციები გავიარე და გადავწყვიტეთ, რომ გუბერნატორის პირველი მოადგილე ზურაბ ჩხეიძე გააგრძელებს მუშაობას რეგიონში გუბერნატორად. მე მინდა მივულოცო ბატონ ზურაბს და წარმატებები ვუსურვო“-განაცხადა ახალი გუბერნატორის წარდგენისას ბარნოვმა.

**ნიუსპრესი**

## ბიძინა ივანიშვილი რუმინელ კოლეგას შეხვდა



სტრასბურში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ფარგლებში, სადაც ის სპეციალური მიწვევით იმყოფება, ბიძინა ივანიშვილი რუმინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ პონტას შეხვდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ივანიშვილმა თავის რუმინელ კოლეგას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისა და საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით აქტიური დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო ურთიერთობების გაფართოების საკითხებზეც იმსჯელეს. **ნიუსპრესი**

## რეგიონული განვითარების სამინისტრო პაპუნა დავითაიასგან ბოდიშის საჯაროდ მოხდას ითხოვს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, „ნაციონალური მოძრაობის“ ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატ პაპუნა დავითაიასგან ბოდიშის საჯაროდ მოხდას ითხოვს.

როგორც „ნიუსპრესს“ სამინისტროდან აცნობეს, გუშინწინ, თოქ-შოუ „პოზიციაში,“ ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა განაცხადა, რომ შეჩერდა მნიშვნელოვანი პროექტები, მათ შორის გზებისა და ხიდების მშენებლობა, რამაც უმუშევართა რაოდენობა გაზარდა.

„სამწუხაროდ, პაპუნა დავითაიამ, ისევე, როგორც მთლიანად „ნაციონალურმა მოძრაობამ“, საარჩევნო კამპანია სიცრუეზე ააგო. გუშინ ტელეკომპანიის ეთერში მის მიერ გაკეთებული განცხადება არის სიცრუე და მას არსებულ რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. სინამდვილეში, ეს არის დამარცხებული ძალის რიტორიკა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდი სისტემატიურად მიმართავს და ის საზოგადოების შეცდომაში შეგნებულად შეყვანას ისახავს მიზნად.

მოვუწოდებთ დავითაიას, თუ რეალურად აინტერესებს, რა პროექტები ხორციელდება მიმდინარე წელს, ან რეალურად გაჩერდა თუ არა რომელიმე პროექტი, მობრძანდეს სამინისტროში ან ჩვენს ვებ-გვერდს ეწვიოს და რაც მთავარია, – მოიხადოს ბოდიში მის მიერ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის გამო“-აცხადებენ სამინისტროში. **ნიუსპრესი**

## შსს-მ საზღვარზე მიგრანტების უკანონოდ გადაყვანის მცდელობისთვის თურქეთის მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული 1 სამმართველოს და სასაზღვრო პოლიციის მე-2 სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1960 წელს დაბადებული თეზებეი კ., ახალციხის რაიონის სოფელ კარტახში, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტების უკანონოდ გადაყვანის მცდელობისთვის დააკავეს.

როგორც „ნიუსპრესს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული უზბეკეთის მოქალაქეების – 1966 წელს დაბადებული მოვლუდა ნ-ს, 1981 წელს დაბადებული ზუხრა ტ-ს და 1957 წელს დაბადებული აზოდა კ-ს საქართველოს საზღვარზე უკანონოდ გადაყვანას ცდილობდა. ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-ე პრიმა მუხლის (საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობა) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული 1-ლი სამმართველო აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

## პოლიციამ ნარკორეალიზატორები დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა, ნარკოტიკული საშუალების რელიზაციისთვის, აზერბაიჯანის მოქალაქე ნასიმ ა. და საქართველოს მოქალაქე, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი გიორგი ა. დააკავეს.

როგორც „ნიუსპრესს“ შსს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გიორგი ა. თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე დააკავეს. მისი ავტომანქანის ჩხრეკისას 1,6662 გრამი „ოპიუმი“ ამოიღეს. შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ მან ნარკოტიკული საშუალება ნასიმ ა-სგან შეიძინა, რომლის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა 25.4305 გრამი „ოპიუმი“ ამოიღეს.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ორივე ბრალდებული დაკავების მომენტში ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. გამოძიება გიორგი ა-ს მიმართ საქართველოს სსკ ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გადაზიდვა), ხოლო ნასიმ ა-ს მიმართ – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-გასაღება) მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# „რეჟიმის მსხვერპლთა" პრობლემა ქართულ რეალობაში

ბოლო 9 წლის განმავლობაში ხელისუფლებასა და ხალხს შორის წარმოქმნილი „ხიდჩატეხილობის პრობლემა" როგორც ჩანს, დღეს „რეჟიმის მსხვერპლთა პრობლემით" იცვლება რომელიც, ისევე როგორც „ხიდჩატეხილობის პრობლემა," ქვეყნისთვის კარგად ნაცნობია, განსხვავება კი ისაა, რომ თუ აქამდე რეჟიმის მსხვერპლს იმ ადამიანებს ვუწოდებდით, ვინც „ნაციონალურმა ავტორიტარიზმმა" სხვადასხვა ფორმით, შეიწირა, – დღეს უკვე ამავე სტატუსს იმ პიროვნებებს ვანიჭებთ, ვინც ზემოთნახსენები ავტორიტარიზმის შემოქმედებად ითვლებიან და არცთუ უსაფუძვლოდ.

სულ რამდენიმე კვირის წინ, საზოგადოების ცნობიერება სერიოზულმა გაუგებრობამ მოიცვა, როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილთან შეხვედრის შემდეგ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მის შესახებ პოზიტიური განცხადებები გააკეთა და აღნიშნა, რომ კუბლაშვილს შესაძლებლობა აქვს, თანამდებობაზე ყოფნის კანონით განსაზღვრული ვადა ღირსეულად ამოწუროსო.

ამ თემაზე ამავე რუბრიკაში უკვე ვწერდით და მასზე დიდხანს აღარ შევჩერდები, უბრალოდ გავიმეორებ, რომ უღირსი ადამიანისგან მოღვაწეობის ღირსეულად დასრულება ბუნების ყველა კანონს ეწინააღმდეგება.

ხოლო გააჩნია და გააჩნდა თუ არა ღირსება კუბლაშვილს და მის მოსამართლეებს, ამის შესახებ უმჯობესია ნებისმიერმა ადამიანმა, განცხადების გაკეთებამდე იმ ხალხს ჰკითხოს, ვისაც ამ მოსამართლეებმა სასჯელი მიუსაჯეს და ვინც საპატიმროები ამ ცოტა ხნის წინ პოლიტპატიმრის სტატუსით დატოვა.

აღნიშნული განცხადება და მისი ადრესატიც, შეიძლება ითქვას, რომ არაფერია იმ განცხადებასთან და მის ადრესატთან შედარებით, რის შესახებაც გასულ კვირაში საზოგადოებამ მოისმინა.

კონკრეტულად კი, საქმე ახალაიაების ოჯახს ეხება, რომლებიც წინა კვირაში „რეჟიმის მსხვერპლად" მოინათლნენ.

რეჟიმი როგორც ასეთი, იმ შემთხვევაში, თუ არ იქნებიან ადამიანები, ვინც რეჟიმს შექმნის და შემდეგ მას მოქალაქეების სისხლის ფასად დაიცავს, – საერთოდ არ იარსებებს, მაგრამ რახან არსებობდა რეჟიმი, ესე იგი არსებობდნენ პიროვნებები ვინც ის შექმნა და ვინც მას ყველა დაშვებული თუ დაუშვებელი ფორმით იცავდა.

ქართული საზოგადოებრიობა კი, ასეთ ადამიანებად სწორედ რომ ახალაიებს მიიჩნევს და არცთუ უსაფუძვლოდ.

ცალკე საკითხია ბოლო პერიოდში დათა ახალაიას მიერ სოციალური ქსელების საშუალებით გავრცელებული განცხადება, რომელიც თავისი შინაარსით ნამდვილად მნიშვნელოვანია და მსგავსი ტიპის განცხადებები, ქვეყნის უახლესი ისტორიის ბნელით მოცულ ბევრ ფაქტს ახდის ფარდას, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს ვინმესთვის პასუხისმგებლობის არიდების მიზეზი, ვინაიდან მსგავს განცხადებებს საზოგადოება ცოტა ხანში კიდევ უფრო მეტს იხილავს და ყველა განმცხადებელისთვის იმუნიტეტის მინიჭება, დეკლარირებულ სამართლიანობის აღდგენის პროცესს, ხელს ნამდვილად არ შეუწყობს.

საფუძველს მოკლებული არაა მოსაზრება, რომ დათა ახალაიას აღნიშნული განცხადების გაკეთება იმ ფაქტორმა აიძულა, რომ ხელისუფლების ცვლის შემდეგ, ვინც რეალურად დაისაჯა და ციხეში ზის, ეს მისი ძმა ბაჩო ახალაიაა.

ის ფაქტორი, უნდა იჯდეს თუ არა ბაჩო ახალაია ციხეში, საზოგადოების დიდი ნაწილის განწყობაში ეჭვს არ იწვევს, ეჭვს სწორედ ის ფაქტორი იწვევს, რატომ ზის წინა ხელისუფლების წარმომადგენელთაგან ციხეში მხოლოდ და მხოლოდ ბაჩო ახალაია.

უფრო მეტიც, ბოლო პერიოდის განმავლობაში ის რეჟიმის მსხვერპლადაც კი შეირაცხა.

ზოგადად კი, მსგავსი ლოგიკა და მსგავსი აზრის განვითარება, რაც რა თქმა უნდა საზოგადოების ცნობიერების ტრანსფორმაციისკენაა მიმართული, – ამავე საზოგადოების შეურაცხყოფაა, ვინაიდან გარკვეული პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც აღნიშნული პიროვნებების რეინკარნაცია-ინდულგენციის მცდელობით არიან დაკავებულნი, ხელისუფლებაში, სწორედ ამ პიროვნებების მიმართ საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური განწყობების გამო მოვიდნენ.

პირდაპირ ვთქვათ, როგორ დაახასიათებდა ბატონი გია ხუხაშვილი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ძმებ ახალაიებს, თუ მას მათ შესახებ კითხვას დაუსვამდნენ. საეჭვოა, რომ ხუხაშვილს იგივე პასუხი გაეცა და იგივე აზრი განევითარებინა, რის განვითარებასაც დღეს ცდილობს.

როგორც მასალის დასაწყისში ვახსენეთ, ცნება – „რეჟიმის მსხვერპლი," ჯერ კიდევ ცოტა ხნით ადრე სულ სხვა კონტექსტში განიხილებოდა.

საზოგადოება რეჟიმის მსხვერპლად გირ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გელა ნიკოლაიშვილი: „მე ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის განხილვის წინააღმდეგი ვარ"

## „19 აპრილს ნაციონალებმა საკუთარი პოლიტიკური ქელეხი გადაიხადეს"

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

***– ბატონო გელა, როგორც მოსალოდნელი იყო, სააკაშვილმა კანონს საერთო სასამართლოების შესახებ ვეტო დაადო. როგორია თქვენი, როგორც ადვოკატის, იურისტის შეფასებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?***

– პრეზიდენტმა ვეტო დაადო ორ კანონს საერთო სასამართლოების შესახებ და მეორე იმ მუხლს, სადაც ლაპარაკია ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმის განხილვაზე. თუ აქამდე პრეროგატივა იყო თვითონ ბრალდებულების, მისი ასარჩევი იყო განიხილავდნენ ნაფიცი მსაჯულები მის საქმეს თუ არ განიხილავდნენ, ახლა ამ ახალი კანონის მიხედვით, მხოლოდ პროკურატურის ნებით წყდება ეს საკითხი. მე ვიტყოდი, რომ საერთო სასამართლოების შესახებ კანონზე ვეტოს დადება არასწორია და, რა თქმა უნდა, არ ვეთანხმები. აუცილებელია, რომ ის ზეწოლები, რაც ადრე იყო, შეიცვალოს. ფაქტიურად, ამით სასამართლოებიც თავისუფლდება ზეწოლისაგან. კი არის საფრთხე, რომ მეორე მხრივ დღევანდელმა ხელისუფლებამ ჩაიგდოს ამის ბერკეტები, მაგრამ იმდენად დიდია ეს გამჭირვალობა, ისეთ ტალღაზეა მოსული ეს ხელისუფლება, რომ სასამართლოები უნდა გაათავისუფლოს. მე ვფიქრობ, რომ ამის საფრთხე ნაკლებია. რაც შეეხება მეორე კანონს, მე ვფიქრობ, რომ ასეთი სახით ეს კანონი არ იყო მისაღები, რომ პროკურატურამ უნდა გადაწყვიტოს. ამ შემთხვევაში ნამდვილად იზღუდება ბრალდებულის უფლება. როგორც ადრე იყო, ბრალდებული ირჩევდა მისი საქმე განიხილოს ნაფიცმა მსაჯულებმა თუ ჩვეულებრივმა სასამართლომ, მე ვფიქრობ, რომ ეს კვლავ ძალაში უნდა დარჩეს და ისევ ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ამისი არჩევის უფლება.

***– ამ კანონით ეს უფლება წაერთვა?***

– დიახ, მას წაერთვა ამის უფლება. მე ადრეც გამომითქვამს ჩემი აზრი ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ. მე ნაფიცმსაჯულების მიერ საქმის განხილვის წინააღმდეგი ვარ, იმიტომ, რომ ისინი არაპროფესიონალები არიან და სამართალი აქ შეიძლება გამრუდდეს, უფრო მეტი ალბათობაა ამისი. თუკი მაინც შემოაქვთ ეს კანონი, ამ შემთხვევაში ბრალდებულს უნდა ქონდეს არჩევის უფლება და არა პროკურორს.

***– რაც შეეხება კანონს საერთო სასამართლოების შესახებ, ამ ვეტოს პარლამენტი დაძლევს?***

– რა თქმა უნდა, პარლამენტი ორიოდე კვირაში დაძლევს ამ ვეტოს და ახალი წესით დაიწყება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტება. უბრალოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის დევნის ორგანო, ახორციელებს დისციპლინარულ დევნას მოსამართლეების, ანუ ხელმძღვანელია მათი. რადგან ხელმძღვანელია, რადგან ეს ორგანო ჯიბეში ჰყავდა კუბლაშვილს, თვითონ იყო ყველაფერი და მოგეხსენებათ, რომ კუბლაშვილი სააკაშვილის მარჯვენა ხელია და აქედან გამომდინარე, აკონტროლებდა ყველაფერს და მოსამართლეებიც მის ნებისმიერ დავალებას უსიტყვოდ ასრულებდნენ, იძულებულნი იყვნენ შეესრულებინათ. ახლა ეს პრეროგატივა ერთმევათ, იმიტომ, რომ იქ ბალანსი აშკარად იცვლება. პრეზიდენტის და ნაცმოძრაობის სასარგებლოდ აღარ იქნებოდა. სწორედ ეს არის ერთ-ერთი ბერკეტი და მექანიზმი, რომ სასამართლო გათავისუფლდეს პარტიული კონტროლისგან.

***– ეს ერთი ბერკეტი შემორჩათ და მისი დაკარგვა აშინებთ?***

– რა თქმა უნდა, აშინებთ. ბერკეტი არის ისიც, რომ მოსამართლეები ისევ მათია. ძალიან ბევრ შავ საქმეში ჰყავთ ისინი გარეული და შეიძლება დააშანტაჟონ, რომ შენ თუ ისევ ისეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებ, როგორსაც კუბლაშვილი გიბრძანებს, ჩვენ შეგვიძლია ამოგიქექოთ ძველი საქმეები, ძველი ცოდვები გაგიხსენოთ, მაგრამ იმ მოსამართლეებს როცა ეცოდინებათ, რომ რეალური ძალაუფლება დღეს მათ არა აქვთ, ძველით მანიპულირება ნაკლებად სახიფათო იქნება მათთვის და უფრო მეტ თავისუფლებას მიიღებენ. თუნდაც ისეთი მოსამართლეები, რომლებსაც ადრეც არაერთხელ აღმინიშნავს, რომ კვალიფიკაცია ნამდვილად არ აკლიათ, უბრალოდ თავისუფლება და ბევრ მათგანს სინდისი აკლია.

***– ბატონო გელა, რაც შეეხება ნაცმოძრაობაში მიმდინარე პროცესებს. ჩვენ ვნახეთ აქციამდე თუ როგორი დაპირისპირება დაიწყო გუნდში. ასევე ახალაიების თემაც მინდა რომ შევაფასოდ. ჩვენ გვესმის განცხადებები კბილაშვილისგან, რომ შესაძლოა არ დადგეს დათა ახალაიას პასუხისმგებლობის საკითხი. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

– მე მინდა დავიწყო სწორედ 19 აპრილის აქციის შეფასებით. მე თქვენთან ინტერვიუში არაერთხელ განვაცხადე, რომ დაახლოებით ხუთიდან ათი ათას კაცამდე იქნება სავარაუდოდ და მათი უმრავლესობა იქნება ადმინისტრაციული



რესურსი და პრინციპში, ეს ასეც მოხდა. იმის მოლოდინი ნამდვილად არ ყოფილა, რაც საზოგადოებაში დათესეს. მე ვეთანხმები იმ შეფასებას, რომ ნაციონალებმა საკუთარი პოლიტიკური ქელეხი გადაიხადეს. რაც შეეხება ახალაიებთან დაკავშირებით პროკურატურის განცხადებებს, მე როგორც მოვისმინე, კბილაშვილს არ უთქვამს, რომ კონკრეტულად ახალაიას ექნება რაღაცა შეღავათი. კონკრეტულ მაგალითზე არ უსაუბრია, მან მოიყვანა კანონის ნორმა, რომლის მიხედვითაც თქვა, რომ თუ პირი გაუწევს სამსახურს გამოძიებას, დიდ დანაშაულს გაახსნევინებს და ასე შემდეგ, გამოძიებას აქვს შესაძლებლობა, მის მიმართ შეღავათები გაავრცელოს და გაათავისუფლოს კიდეც სასჯელისაგან. მე თუ მკითხავთ, ახლა ახალაია იქნება თუ ნებისმიერი სხვა პირი, თუ ის სიტყვაზე, ისეთ მნიშვნელოვან საქმეს გაახსნევინებს და დაადასტურებს მტკიცებულებებით, როგორიც, მაგალითად, ჟვანიას მკვლელობაა, მე ვფიქრობ, რა თქმა უნდა, ღირს აქ საპროცესო შეღავათების გავრცელება მასზე და თუნდაც სრული გათავისუფლება. თუმცა, მე არა მგონია, რომ ახალაიების ინტერესი იყოს სრული გათავისუფლება, იმიტომ, რომ ისინი გარეთ, საქართველოში იქნებიან თუ მის ფარგლებს გარეთ, თავს უხიფათოდ ვერ იგრძნობენ. იმდენი და ისეთი საშიში მტრები ჰყავთ მათ, რომ ფიზიკური განადგურებით ალბათ დაემუქრებიან. აქედან გამომდინარე, თვითონ ფორმულა, რომ ნებისმიერი ადამიანის მიმართ შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე შეღავათი, მე ჯერ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ვსაუბრობდი ამაზე, რომ მშვენიერი ნორმაა საპროცესო შეთანხმება, უბრალოდ, ის უნდა იყოს გონივრულად და სახელმწიფო ინტერესებისთვის გამოყენებული და არა ვიღაცის ჯიბის ან ბიუჯეტის შევსების მიზნით. თუ ეს გონივრულად იქნება გამოყენებული, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, ოღონდ აქ უნდა იყოს მართლაც სერიოზული დანაშაულებების გახსნაზე ლაპარაკი და სერიოზულ თანამშრომლობაზე.

***– თქვენი აზრით, დათა ახალაია იმდენად მნიშვნელოვან ინფორმაციებს ფლობს, რომ ეს ამად ღირს?***

– მე ეჭვი არ მეპარება., რომ დათა ახალაიამ იცის ასეთი ინფორმაციები, იმიტომ, რომ ის იყო მარჯვენა ხელი სააკაშვილის და მერაბიშვილის. ყველაფრის შემსრულებელი ის, ბაჩო ახალაია და მეგის ქარდავა იყვნენ. მათი ხელით ხდებოდა ყველა შავი საქმის შესრულება. სააკაშვილი რომ ამბობს, მე ორჯერ – სამჯერ თუ მინახავს დათა ახალაიაო, რა თქმა უნდა, ეს სისულელეა. თუნდაც არ შეხვედროდა, მან მშვენივრად იცოდა, რომ ყველა ბინძურ დავალებას სწორედ ახალაიები ასრულებდნენ. ოფიციალურადაც ის კუდის უფროსი იყო და აქედან გამომდინარე, ოფიციალურად ევალებოდა ყველა ასეთი საიდუმლო დავალების შესრულება. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, მან ძალიან ბევრი რამე იცის და ეჭვიც არ მეპარება, რომ ძალიან ბევრი მაკომპრომეტირებელი მასალა აქვს, თავისი ვიდეო ჩანაწერებით.

***– რაც შეეხება გუნდში არსებულ დაპირისპირებას? საუბარია, რომ მერაბიშვილსა და სააკაშვილს შორის არსებულ დაპირისპირებაზე...***

– მე არ მგონია, რომ მერაბიშვილსა და სააკაშვილს შორის იყოს დაპირისპირება. ახალაიებთან, რა თქმა უნდა, ეს გამოჟღავნდება და ადრეც იყო ცნობილი. რაც შეეხება მერაბიშვილ-სააკაშვილს, დღეს მერაბიშვილი უფრო სჭირდება სააკაშვილს, ვიდრე პირიქით, მერაბიშვილს არაფერში არ სჭირდება სააკაშვილი, პირიქით, ის არის მისთვის მძიმე ტვირთი, მაგრამ ამავე დროს მერაბიშვილსაც არა აქვს არანაირი რეიტინგი, ასე რომ, ორივე ერთმანეთს სჭირდება ამ შემთხვევაში. შედარებით ნაკლებ გაღიზიანებას და ნაკლებ ზიზღს ნაციონალებიდან მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანი თუ იწვევს. იგივე გიორგი ვაშაძე, პრინციპში, სხვას ვერც ვიხსენებ, რომელიც არ არის გასვრილი იმიჯის და ბინძურ საქმეებში გახვეული. თანაც ახალი სახეებიც ვერ წარმოაჩინეს. შეიძლება დანაშაულებრივ საქმეებში გასვრილები, სიტყვაზე, არც დარჩიაშვილი იყოს, არც ჩიორა თაქთაქიშვილი დ არც მათი მსგავსი პროპაგანტისტები, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ მათაც არანაირი რეიტინგი არა აქვთ და დიდ გაღიზიანებას იწვევენ საზოგადოებაში. მე ვერ ვხედავ ვერანაირ პერსპექტივას, რომ რომელიმემ გაქაჩოს და პარტია გადაარჩინოს. მე ვფიქრობ, რომ ესენი ერთმანეთს ძირავენ და არანაირი შანსი ამ პარტიის გადარჩენის არ არსებობს. მით უმეტეს, რაც უფრო მოახლოვდება ოქტომბერი, უფრო დაჩქარდება მათი აღსასრული და ეს დაპირისპირებებიც უფრო გამჟღავნდება. თუ ვინმეს თავის გადარჩენა უნდა, უბრალოდ, დროზე უნდა დატოვოს მათი რიგები.

***– მაშინ რა დავარქვათ სააკაშვილსა და მერაბიშვილს შორის არსებულ ურთიერთობას, ეს თამაშია? ჩვენ ვნახეთ, რომ სააკაშვილის მიტინგზე მოსვლის შემდეგ ვანომ დატოვა აქცია...***

– მე არ მინახავს, რომ დემონსტრაციულად დატოვა, შეიძლება თვალს მოეფარა, ან სულაც ტუალეტში გავიდა, ან ვიღაცას ელაპარაკებოდა. მე ამას სერიოზულად არ მივიჩნევ, ეს ყველაფერი უფრო ჟურნალისტების მიერ გაზვიადებული მგონია. არ ვფიქრობ, მათ შორის დაპირისპირება იყოს, რადგან ერთმანეთის გარეშე ისინი არაფერს არ წარმოადგენენ. ნაციონალების ლიდერი მიშა ყოველთვის იქნება და პრეზიდენტობის კანდიდატი ველარ იქნება. აქედან გამომდინარე, ლიდერად მაინც მიშა სჭირდებათ, ვანომ რაც არ უნდა წინ წამოიწიოს, ის მიშასნაირ ქარიზმას არ ფლობს და თუნდაც ის 3 თუ 5%, რაც მიშას დღეს აქვს და ვინც გადამკვდარი მიშისტები არიან, ისინი ალბათ სიცოცხლის ბოლომდე ასე იქნებიან, როგორც ზვიადისტები და სტალინისტები არიან. ვანოს მიშასნაირი ქარიზმა ვერასოდეს ვერ ექნება და ის დამოუკიდებელი პოლიტიკური ლიდერი ვერასოდეს გახდება. მე მგონია, რომ ეს კარგად ესმის ვანოს. რადგან ვანო კარგი შემსრულებელია, მიშას ის ამ მხრივ სჭირდება. თუმცა ვიმეორებ, პერსპექტივა არც ერთ მათგანს არა აქვს.

***– ბატონო გელა, რაც შეეხება მთავარ თემას, ხელისუფლების სტრასბურგში ვიზიტს, ბიძინა ივანიშვილის გამოსვლას, საკმაოდ ბევრი შეფასება მოვისმინეთ, ზოგმა მოიწონა, ზოგმაც დაიწუნა... თუმცა ერთი რამ ხაზგასმით თქვა პრემიერმა, რომ კოჰაბიტაცია არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში არ აღდგეს სამართლიანობა. თქვენ რა ამოიკითხეთ მის გამოსვლაში და რას გამოკვეთავდით?***

– ყველაზე მეტად მნიშვნელოვნად მე სწორედ ეგ სიტყვები მომეჩვენა, რაც თქვენ ახლა ახსენეთ, მართლაც, კოჰაბიტაცია და სამართლიანობა ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპიროთ. ერთიც შეიძლება და მეორეც, მაგრამ ერთი მეორის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. თუ სამართლიანობა ბოლომდე აღდგება, უბრალოდ, კოჰაბიტაციისთვის მეორე მხარეს აღარავინ დარჩება, რადგან სამართლიანობის აღდგენის შემთხვევაში, მათი ლიდერების უმრავლესობა, უბრალოდ, დამნაშავედ გამოცხადდება და მე ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ადრე თუ გვიან ასეც იქნება. რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებს, როდესაც წინა პლანზე ნაციონალური მოძრაობა ცდილობს წამოწიოს რუსეთთან კონფლიქტი, რა თქმა უნდა, რიტორიკაში იყო ცვლილებები, ახლა სააკაშვილის და ივანიშვილის რიტორიკას ერთმანეთს ნამდვილად ვერ შევადარებ. ეს უფრო დიპლომატიური იყო, უფრო ფრთხილი, მოზომილი. მეც შეიძლებოდა რაღაცა მომენტებისთვის უფრო მკვეთრად გამესვა ხაზი, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, თუმცა ვერაფერ საგანგაშოს მე აქ ვერ ვხედავ. ახალი კურსი, რომ დალაგდეს ვითარება, გულისხმობს რიტორიკის შეცვლასაც. რა მოგვიტანა კარგი სააკაშვილის რიტორიკამ?! საქმე გულის მოფხანაში კი არა არის, მთავარი საქმე არის შედეგში და შედეგი რა მივიღეთ სააკაშვილის მწვავე განცხადებებისგან? აი, ამაზე უნდა იყოს ორიენტაცია ნებისმიერი პოლიტიკოსის. ივანიშვილი არის ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი, ის საკმაოდ დამაჯერებლად პასუხობდა მწვავე კითხვებს. ვთქვათ, პუტინი გალანძღა, დაადანაშაულა, ამით მოგება რა იქნება? წლების მანძილზე ჩვენ ვნახეთ ასეთი რიტორიკა, მაგრამ საქმის მხრივ ვერაფერი ვერ მოვიგეთ, პირიქით, წავაგეთ ბევრი. ასე რომ, უნდა იყოს პრინციპული პოზიცია, მაგრამ დიპლომატიური. მე ვერ ვიტყვი, რომ უმაღლესი, მაგრამ საკმაოდ მაღალი ხარისხით პრინციპულობა და დიპლომატიურობა გამოჟღავნა ამ გამოსვლაზე ბიძინა ივანიშვილმა.

# რას დაპირდა დავით დარახველიძე „ქართულ-ოსურ მისიას“

შორენა გონგლაძე

**23 აპრილს „ქართულ-ოსური მისიის“ შემადგენლობა შეხვდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა და განსახლების მინისტრს დავით დარახველიძეს. დარახველიძის გარდა შეხვედრას ესწრებოდა მინისტრის პირველი მოადგილე გოგი ფაცაცია და სამინისტროს მაღალჩინოსანი, ცხინვალიდან დევნილი რობერტ მამისაშვილი.**



– აღნიშნულ შეხვედრაზე იმ უამრავ პრობლემატურ საკითხზე გამახვილდა ყურადღება, რომელიც წლებია დევნილებში დაგროვდა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში „ქართულ-ოსური მისიის“ პასუხისმგებელმა მდივანმა მარინა კაჟაშვილმა.

მისი თქმით, მისიამ არაერთი წინადადება წარმოადგინა სამინისტროს წინაშე,

– ჩვენ დავაყენეთ ისეთი საკითხები, როგორიც იყო დევნილთათვის საზღვრების გახსნა აღდგომის დღეებთან დაკავშირებით; ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღდგენა; ცხინვალის გაზეთის გამომცემლობის აღდგენა; დევნილი სტუდენტების სახელმწიფოს მიერ დაფინანსება და კონფლიქტის საზღვრებთან სამუშაო ადგილების შექმნა მხოლოდ და მხოლოდ ომებისაგან დაზარალებული და გაღატაკებული დევნილების დასასაქმებლად, – აღნიშნა მისიის პასუხისმგებელმა მდივანმა.

კაჟაშვილის ცნობით, მისიის წევრებმა მკაცრად მოითხოვეს, რომ დევნილ არასამთავრობოებს მისცენ პროექტების რეალიზების საშუალება. ამავე დროს ფონდების წინაშე ყველა წარდგენილი პროექტი, რომლებიც ეხება კონფლიქტებსა და დევნილებს.

– სიღრმისეულად იქნენ შესწავლილი, ვინ არიან ისინი, ჰქონდათ თუ არა კონფლიქტის ზონასთან შეხება, არიან თუ არა ისინი დევნილები, შეეხოთ თუ არა მათ ომები! ცხინვალელების არა აქტიურმა ცხოვრებამ 23 წლის უპერსპექტივო მომავალი შეუქმნა დევნილებს. ასევე მისიამ განუმარტა სამინისტროს წარმომადგენლებს, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტში შედიან საკანონმდებლო ინიციატივით: 1) ცვლილება ,,განათლების კანონში“, რომელ კანონშიც შეღავათი ვრცელდება მხოლოდ ახალ დევნილებზე და ძველებს ეს შეღავათი არ ეხებათ. 2) კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, სადაც უნდა მოხდეს იმ მუხლის ჩასწორება, რომელიც უშუალოდ ეხება საზღვრების გახსნას, რომ უნდა გაუქმდეს როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციული სასჯელი საზღვრის გადამკვეთ-გადმომკვეთზე. სამაგიეროდ, უნდა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი და ამოქმედდეს სასაზღვრო კონტროლის უმკაცრესი სამსახური. ამ და უამრავ სხვა კითხვაზე მინისტრმა დავით დარახველიძემ ამომწურავი პასუხი გაგვცა და აღგვითქვა თანადგომა და თანამშრომლობა, რომელმაც მისიის მიერ დაყენებული საკითხები მიიჩნია სავსებით მართებულად. ,,ქართულ-ოსური მისია „მზადყოფნას გამოთქვამს, ასევე ითანამშრომლოს საქართველო-რუსეთთან ურთიერთობის სამსახურთან, რომელი თანამშრომლობაც გადაიზრდება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გასაფართოებლად და სხვა, – განაცხადა „ქართულ-ოსური მისიის“ პასუხისმგებელმა მდივანმა.

მისია დიდ მადლობას უხდის დავით დარახველიძეს და სამინისტროს იმ შემადგენლობას, რომელთანაც ასე დადებითად წარიმართა შეხვედრა. მისია იმედოვნებს, რომ ამ შეხვედრით არ დასრულდება მათი ურთიერთობა, რადგან მისიის მიერ წარმოდგენილი პრობლემატური საკითხები რჩევების სახით იქნება სამინისტროს სამუშაო გეგმის ნაწილი.

# უმერო ქუთაისი

როლანდ ხოჯანაშვილი

პოლიტიკური ორომტრიალის ფონზე საქართველოს მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქებში პირველი პირის დანიშვნა არაპოლიტიკური ნიშნით თითქმის შეუძლებელია, უფრო დავაზუსტოთ და ვთქვათ, რომ წარმოუდგენელიც. არადა, ზედმიწევნით სასიხარულო იქნებოდა, რომ პოლიტიკური ნიშნით კი არა, მენეჯერული შესაძლებლობების მიხედვით დაენიშნათ მმართველები. რადგან ამჯერად ქუთაისის მერზე უნდა ვისაუბროთ, ამიტომ ვნახოთ რას წარმოადგენს ,,სამოქალაქო განათლების ლექსიკონის“ მიხედვით მერის თანამდებობა: ,,ქალაქის ადგილობრივი მმართველობის მეთაური. ქალაქის მერს ზოგიერთ ქვეყანაში ირჩევენ ქალაქის საკრებულოს დეპუტატები (ამგვარი პრაქტიკა გავრცელებულია საფრანგეთსა და შვეციაში) ან პირდაპირ ამომრჩევლები (ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში). სხვაგან, მაგ., ჰოლანდიაში ქალაქის მერი ინიშნება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მოქმედების არანაკლებ თავისუფლებას ფლობს, ვიდრე არჩეული მერები სხვა ქვეყნებში“.

1 ოქტომბრის არჩევნების მერე, თავისთავად, მოსალოდნელი იყო ადმინისტრაციულ რგოლებში ცვლილებები. თუნდაც ,,ნაციონალები“ გასულიყვნენ ისევ უმრავლესობით, მაინც გადაიხედებოდა მუნიციპალიტეტების პირველი პირების საკითხი. დაუფასდებოდათ ზედმეტად ერთგულებს, წაოცნებო ნაციონალებს, სავარაუდოდ, გაქონილ ნიჩაბზე დასვამდნენ. ახლა უკვე წუწუნებენ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, რომ მათი მომხრეების მასობრივი გათავისუფლება ან ,,გაოცნებება“ ხდება.

ქუთაისის მერობის სავარაუდო კანდიდატებზე უკვე მაშინ დაიწყეს ლაპარაკი, როცა ქუთაისის კინაღამ პირწმინდად ,,ნაციონალური“ საკრებულოს თავმჯდომარე გახლდათ ამირან ხვადაგიანი, რომელსაც ,,მუდმივის“ მეტსახელითაც იცნობენ. ქუთაისელ ,,მეოცნებეებს“ დიდი მოლოდინი ჰქონდათ, რომ ხვადაგიანს ,,ოცნების“ წევრი თავმჯდომარით ჩაანაცვლებდნენ, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარედ მაინც ნაციონალი თამაზ მარგველაშვილი აირჩიეს. თუმცა, ახლა ქუთაისის მერზე ვსაუბრობთ და არა საკრებულოზე, რომლის უმრავლესობა ბროლის ნამსხვრევებივით მიმოიფანტა. კულუარული ინფორმაციით სოზარ სუბარის მოადგილე გიგა გიორგაძე განიხილებოდა ქუთაისის მერის პოსტზე, ატყდა მითქმა-მოთქმა, სუბარი იქ ჩავიდა, სუბართან ჩამოვიდნენ და ასე შემდეგ. გიორგაძე ამ საკითხზე არაფერს ამბობდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უარყოფდა.

გიორგაძის შემდეგ ინტრიგების მოყვარულმა საზოგადოებამ ყოფილი ვიცე-გუბერნატორი გოჩა თევდორაძის კანდიდატურა დაასახელა მერად. ალბათ გრძნობდნენ, რომ ბატონი გოჩა ,,ნაციონალურ მოძრაობის“ რიგებს დატოვებდა. ვიცე-გუბერნატორმა ძირითადად თავი იმით დაამახსოვრა ხალხს, რომ ,,ნაციონალების“ პოლიტიკურ გაგრძელებას—პარტია ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ შეუერთდა.

ორნაირი ემოციების ფონზე ქუთაისის ,,ნაციონალი“ მერი ბესიკ ბრეგაძე როდესაც გადააყენეს და მის ნაცვლად მისმა მოადგილემ დაიწყო უფლებამოსილების განხორციელება, უკვე მერობის კანდიდატების ,,გამოჩეკვის“ პროცესი უფრო გამწვავდა. წესის მიხედვით, თვითმმართველობის პირველი პირის დანიშვნა კონკურსის წესით უნდა შეირჩეს. ქუთაისში ამ პროცედურის მეთაურად მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტატო კომისიის თავმჯდომარე თამაზ მარგველაშვილი მოგვევლინა. კომისიის თავმჯდომარის ვინაობა ცნობილია, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანს ის ექვსი წევრი, რომლებიც კომისიის მუშაობისათვის აუცილებელია. ამ ექვს წევრს შორის აუცილებლად იქნება საკრებულოს წევრები და სამოქალაქო სექტორის წევრები, მაგრამ მათი შერჩევა ჭიანურდება, რითაც დამატებით ჩნდება კითხვის ნიშნები. ამბობენ, რომ თითქმის უცნობი პარტია ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ზედმიწევნით ამბიციურია, რადგან ამ პარტიის სახელით დარეგისტრირებელი ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია ამჟამად ყველაზე დიდია და 10 წევრისგან შედგება. ამის გამო ისინი ამბობენ, რომ მათ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატურა გახდება ქუთაისის მერი.

ქუთაისის საკრებულოს ,,ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე მამუკა მღვდელაძე და ამავე პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი მანანა მიქაძე ამ ეტაპზე საკითხის დაკონკრეტებისაგან თავს იკავებენ. გაჟღერდა მხოლოდ ის, რომ ქუთაისის მერობის სამი კანდიდატურა არსებობს.

მართალია, ამ ეტაპზე ქუთაისს ოფიციალურად მერი არ ჰყავს, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამას დიდ პრობლემად არ აღიქვამს, რადგან ქუთაისის მერის თანამდებობა საქმის კეთებასთან კი არა, არამედ ხელფასის აღებასთან და მმართველი პარტიის რუპორობასთან ასოცირდება. მოქალაქეები მოითხოვენ, რომ თვითმმართველი ქალაქების პირველი პირის თანამდებობა არჩევითი უნდა იყოს. მერი პირველ რიგში პასუხისმგებელი ამომრჩეველთა წინაშე უნდა იყოს და არა პარტიების წინაშე, —ამბობენ ქუთათურები.

# „რეჟიმის მსხვერპლთა“ პრობლემა ქართულ რეალობაში

დასაწყისი მე-5 გვერდზე

გვლიანს, ენუქიძეს, რობაქიძეს, გამცემლიძეს, ვაზაგაშვილს, 26 მაისს დაღუპულ მამულიშვილებს, 2008 წლის აგვისტოში დაღუპულ გმირებს და მათსავით შეწირულ ადამიანებს განიხილავდა, ხოლო დღეს მათ რიცხვში ახალაიების ჩაყენება, ამ ხალხის სულების შეურაცხყოფაა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ცოცხალ ადამიანებზე, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს თავგანწირვით ებრძოდნენ და რომლებსაც სწორედ იმ კლანმა, რომელთა ერთ-ერთ უძლიერეს ნაწილს ახალაიების დაჯგუფება წარმოადგენდა – სიცოცხლე გაუმწარა და მომავალი მოუსპო.

მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის რღვევას და მის მორჩილ ვირთხებს შორის ბრძოლას, დღეს, საზოგადოების ეროვნულად განწყობილი ნაწილის ნერვები და რწმენა ეწირება, რაც ახლო მომავალში ახალ ხელისუფლებას შეიძლება საკმაოდ ცუდად შემოუბრუნდეს.

ბატონმა ხუხაშვილმა აუცილებლად უნდა გასცეს საზოგადოების წინაშე პასუხი კითხვას თუ ვინ იყო წინა რეჟიმის მსხვერპლი, ბაჩო და დათა ახალაიები თუ ციხეში წამებით გარდაცვლილი ან ცოცხით გაუპატიურებული პატიმრები, ვინ იყო მსხვერპლი, ბაჩო ახალაია, რომელიც პროკურატურის ინფორმაციით ჯარისკაცებს თავისუფლებას უკანონოდ ულკვეთავდა და მათ მიმართ დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ ქმედებებს მიმართავდა, თუ ის ადამიანები, ვინც ახალაიას ასეთი ქმედებების გამო, სხვა თუ არაფერი, ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს.

იმ შემთხვევაში კი, თუ დათა და ბაჩო ახალაიები წინა რეჟიმის მსხვერპლნი არიან, რატომ არ შეიძლება განვიხილოთ იგივე კონტექსტში ვანო მერაბიშვილი, გივი თარგამაძე, გიგა ბოკერია, დავით კეზერაშვილი, გიგი უგულავა, გია ბარამიძე და თუნდაც მიხეილ სააკაშვილი.

საკითხავია ვინაა რეჟიმის მსხვერპლი გიორგი ბარამიძე, რომელიც ხელისუფლებაში 2003 წელს დემოკრატიის სახელით მოვიდა, თუ სასტიკად დარბეული, დახვრეტილი და შეურაცხყოფილი აფრასიძეების ოჯახი, რომლის მხეცურად მოკლულ უფროსსაც, იმის გამო რომ, ოქროს ბეჭედი ვერ მოხსნეს, თითი მთლიანად მოაჭრეს, ამ დროს კი მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი და „რეჟიმის პოტენციური მსხვერპლი“ გია ბარამიძე, კუბდარს თხოულობდა.

შეუძლებელია წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი ყველა ამაზრზენი ფაქტი გაიხსენო, მაგრამ კიდევ უფრო შეუძლებელია მათი გამართლების მცდელობას გულგრილად და აუღელვებლად შეხედო.

საინტერესოა ვინ არის ,,რეჟიმის მსხვერპლი,“ ის ადამიანები, ვინც 2011 წლის 26 მაისს, აბსოლუტურად უთანასწორო სიტუაციაში, სამშობლოსთვის საკუთარი თავი სასიკვდილოდ გაიმეტეს და რომლების შემდეგ ელექტროენერგიის დარტყმის შედეგად გარდაცვლილებად გამოაცხადეს, თუ ის ადამიანები, ვინც მშვიდობიანი აქციის მონაწილეები ჯერ ცემით დახოცა, შემდეგ მათი ცხედრები მაღაზიის სახურავზე შემოაწყო და გამოძიებასაც ჩვენება მისცა, რომ ხელფეხშეკრული ხალხი მაღაზიის სახურავზე აძვრა და იქ უსაფრთხოების ზომების იგნორირებით დამონტაჟებულმა ელექტროსადენმა იმსხვერპლა.

ძალიან ადვილია იმ ადამიანთა მხრიდან ყოფილი ხელისუფლების ზონდერთა „რეჟიმის მსხვერპლად“ წარმოჩენა, ვინც ქვეყნის უახლესი ისტორიის ბევრ ავბედით თარიღს, თვალყურს მხოლოდ ტელეეკრანიდან ადევნებდა.

ყველა ასეთ განცხადებას ის ხალხი, ვინც სააკაშვილის სისხლიან და მზაკვარ რეჟიმს აბსოლუტურად უთანასწორო ბრძოლაში საკუთარი სიცოცხლის ფასად ებრძოდა, – ნეგატიურად მიიღებს და ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს.

რაც შეეხება უკვე ყბადაღებულ კოაბიტაციასა და სამართლიანობის აღდგენის პროცესს, წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ მსგავსი მიდგომები, ამ მიმართულებით ვერავითარ შემთხვევაში შედეგის მომტანი ვერ იქნება, რადგან ნებისმიერ მათგანს შეუძლია თავი რეჟიმის მსხვერპლად წარმოაჩინოს და თუ ეს ვერსია ახალი ხელისუფლებისთვის და საზოგადოებისთვისაც მისაღები იქნება, მაშინ უკვე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ სამართლიანობის პროცესის აღდგენა, მის დაწყებამდე დასრულდა.

ყურადსაღები იყო პრემიერის მიერ გუშინ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის დროს გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმადაც, კოაბიტაცია და სამართლიანობის აღდგენა როგორც ცნებები, უნდა გაიმიჯნოს და ქართველი ერისთვის ღირსების დაბრუნება, სამართლიანობის აღდგენაზე გადის, რომელიც თავის მხრივ დამნაშავე ყოფილ ჩინოსანთა პასუხისგებას გულისხმობს.

მსგავსი ტიპის განცხადებები საზოგადოებას ადრეც მოუსმენია, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ განცხადებები განცხადებებისთვის კეთდება, ფაქტი კი ერთია, სამართლიანობის აღდგენის პროცესის ნაცვლად, საზოგადოება ღებულობს მუქარას იმ პირებისგან, ვინც უდიდესი ალბათობით დღეს ციხეში უნდა იჯდეს.

იქნებ სჯობდეს სამართლიანობის აღდგენის პროცესთან დაკავშირებით აღარ ვისაუბროთ მაინც და ამაო მოლოდინით დაღლილი საზოგადოების ნერვები კიდევ უფრო მეტად არ დავჭიმოთ, თორემ ის პირები, ვინც დღეს „რეჟიმის მსხვერპლად“ ინათლებიან, ძალიან ახლო მომავალში შეიძლება გამწარებული ბრბოს მსხვერპლნი გახდნენ.

**ალეკო ჩუბინიძე, სააგენტო „ნიუსპრესი“**

# 16 დაწესებულებაში მომხდარი ინცინდენტის შესახებ სასჯელაღსრულების სამინისტრო განცხადებას ავრცელებს

მიმდინარე წლის 13 აპრილს, №16 დაწესებულებაში მომხდარ ინცინდენტთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების სამინისტრო სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

„13 აპრილს, დაახლოებით 11:30 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 16 დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის ექთანი, ციალა კაშია, ფარულად, შენიღბული სახით, ცდილობდა №16 დაწესებულებაში აკრძალული ნივთის (მარჯვენა წინდაში დამალული – ჩინური წარმოების მცირე ზომის მობილური ტელეფონი) შეტანას, თუმცა დაწესებულების შემოწმება-დათვალიერების ოთახში წარმოებული შესაბამისი ვიზუალური დათვალიერების დროს, 16 დაწესებულების თანამშრომლების მიერ აღმოჩენილი იქნა ზემოხსენებული ნივთი, რაც ციალა კაშიამ თავადვე აღიარა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, 2013 წლის 18 აპრილს მიღებული იქნა დასკვნა, რომლის საფუძველზეც ციალა კაშიას მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – „სამსახურიდან განთავისუფლება“ – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

განცხადების თანახმადვე, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო.

„პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის, შერეული ტიპის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დაწესებულებების, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრის დებულებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 97 ბრძანების 50-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე აუდიო-ვიდეო და ფიქსაციის სხვა სახის ტექნიკის შეტანა სპეციალური ნებართვის გარეშე, რომელსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გასცემს. ეს ნებართვა ციალა კაშიას მიმართ გაცემული არ ყოფილა. ამავე ბრძანების 51-ე მუხლით განსაზღვრულია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შესვლის წესი, რომელიც ციალა კაშიას მიერ უგულებელყოფილი იქნა.

ამასთან საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 14 აპრილის 5 ბრძანება განსაზღვრავს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მობილური ტელეფონით სარგებლობის უფლების მქონე პირთა წრეს, რომელშიც დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტის ექთანი განსაზღვრული არაა.

აღნიშნულთან ფაქტთან დაკავშირებით სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 378 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დაიწყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი კუთხით მსჯელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ან არ მიღების შემთხვევაშიც კი, სამინისტროს გენერალური ინსპექცია დისციპლინური კუთხით უფლებამოსილია მოახდინოს რეაგირება ყოველ ამგვარ ფაქტზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან, ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაემორჩილოს სამინისტროში მოქმედ ბრძანებებს, წესდებებსა და დებულებებს, რომლებითაც განსაზღვრულია მათი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები“ – აცხადებენ სასჯელაღსრულების სამინისტროში. **ნიუსპრესი**

# პაატა იმნაძე: „მოსახლეობა აცრებზე უარს ამბობს“

მერი ნამორაძე



**გუშინ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულმა ცენტრმა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამის ფარგლებში შექმნილი იმუნიზაციის მართვის ელექტრონული მოდული წარუდგინა საზოგადოებას. მიზანი იმუნიზაციის პროგრამის მართვის გაუმჯობესებაა. იმუნიზაციის მართვის ელექტრონული მოდულის ფარგლებში დაგეგმილია იმუნიზაციის პროგრამისა და ვაქცინების ლოჯისტიკის ადმინისტრირების გაუმჯობესება.**

მიუხედავად არაერთი საინფორმაციო კამპანიისა, ვაქცინაციით მოცვის მასშტაბები ქვეყანაში არცთუ დამაკმაყოფილებელია. გასულ წლებში კი სერიოზულ ჩავარდნებსაც ჰქონდა ადგილი. ამჯერად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მამებს თავსატეხს წითელას მასობრივი გავრცელება უჩენს, რომლის შემთხვევებმა უკვე 1900-ს გადააჭარბა. ვარაუდობენ, რომ მაისის ბოლოსათვის გავრცელების მასშტაბებმა კლება უნდა დაიწყოს. თუ ასე არ მოხდება, ვაქცინაციის პროცესი კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს და არა მხოლოდ 7 წლამდე აცრაგამოტოვებულ ბავშვებს, არამედ 40 წლამდე ასაკის მოსახლეობასაც შესთავაზებენ ვაქცინას.

ამჟამად ეროვნული კალენდრის მიხედვით, 11 დაავადება იმართება ვაქცინებით. სწორედ აცრების საშუალებით დაამარცხა მსოფლიომ ყვავილი, ამას მოსდევს პოლიომიელიტის დამარცხება და რიგში უკვე წითელა-წითურა დგას. წითელა იმ დაავადებებს მიეკუთვნება, რომელიც ევროპის რეგიონში 2015 წლისთვის უნდა აღმოიფხვრას. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, ეს მხოლოდ იმუნიზაციის მასობრივი კამპანიებით იქნება შესაძლებელი. თუმცა, არის მშობელთა კატეგორია, რომლებიც შვილებს არ ცრიან და იმუნიზაციის კალენდარს არაფრად აგდებენ. რატომ ამბობს მშობელთა ნაწილი უარს შვილების აცრაზე და რა განსხვავებაა კომერციულ და სახელმწიფოს მიერ შესყიდულ ვაქცინებს შორის? ამ კითხვებზე „ახალ თაობას“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ უპასუხა:

***— ბატონო პაატა, რატომ ამბობს მშობლების ნაწილი უარს აცრებზე?***

— ასეთი მშობლებიც გვყავს და ძალიან ძნელია თქვა, რატომ ამბობენ უარს. ჩვეულებრივ ეს არის ხოლმე აცრის შემდგომი გართულებების შიში. ვიტყოდი, რომ აქ ჩემი კოლეგების წვლილიც არის. არა პირველადი ჯანდაცვის ექიმების, რომლებიც თვითონ აკეთებენ იმუნიზაციას. ყველამ კარგად იცის, რომ დღევანდელი ვაქცინები აბსოლუტურად განსხვავდება ჩემს ახალგაზრდობაში არსებული ვაქცინებისგან. მაშინ, რა თქმა უნდა, გართულებები და გვერდითი მოვლენებიც გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დღევანდელ ძალიან მაღალტექნოლოგიურ ვაქცინებს გააჩნიათ. მაგრამ, ეტყობა, ცოდნის დეფიციტია. მე ასე დავარქმევდი — ცოდნის დეფიციტია არა მხოლოდ მშობლებში, არამედ ზოგიერთ ჩემს კოლეგაშიც.

***— დღეს რომელი ქვეყნიდან შემოდის ვაქცინები საქართველოში?***

— ძალიან ბევრი ქვეყნიდან შემოდის. მოდით, ასე ვთქვათ, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ქვეყანაშია ვაქცინა ნაწარმოები, თუ მას გააჩნია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პრეკვალიფიკაცია. სხვა მაღალი ინსტანცია, რომ ხარისხის გარანტი იყოს, არ არსებობს. ჩემი შვილები არასოდეს ამიცრია კომერციული ვაქცინებით, რაც სახელმწიფოში იყო, რაც უწევდათ, იმით ვცრიდით. 2008 წელს ინდური ვაქცინით ავცერი.

***—კონკრეტულად რა სხვაობაა „კომერციულ ვაქცინასა“ და სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ვაქცინას შორის?***

— სხვაობა არის დაფასოებაში, თორემ მწარმოებელი ერთი და იგივე ქვეყანაა. მაგალითად, წითელა-წითურას ვაქცინა, როცა კერძო სექტორი ცრის, არის შპრიცში, ერთდოზიანია. ხოლო სახელმწიფოს მიერ შესყიდული არის ფლაკონში და იქიდან უნდა ამოიღოს ექიმმა.

***— საუბარია იმაზე, რომ წითელას მოჰყვება წითურას გავრცელება, რომლის ერთმანეთისგან გარჩევა ზოგჯერ მედიკოსებსაც უჭირთ. რა განსხვავებაა მათ შორის?***

— მოჰყვება, კი! წითელა უფრო მძიმე დაავადებაა, ვიდრე წითურა. ფეხმძიმე ქალისათვის წითურა ძალიან საშიშია, განსაკუთრებით პირველ ტრიმესტრში. ეს არის 80%-იანი რისკი, რომ ბავშვი იქნება სიმახინჯეებით ან დაიღუპება ნაყოფი. გარჩევა ადვილია, თუ ტიპურად მიმდინარეობს. ხშირად არის ხოლმე ატიპური მიმდინარეობა და ამიტომ ძნელია ხოლმე ერთმანეთისგან გარჩევა და შეიძლება ექიმსაც გაუჭირდეს. გამონაყარი სხვადასხვაგვარია, სხვადასხვანაირად ვითარდება და ეს ექიმმა უნდა გაარჩიოს. 2004-05 წლებში წითელას ეპიდემია რომ გვქონდა, მერე წითურაც დაიწყო. ჩვენ შესწავლილი გვაქვს, როგორია წითურასადმი მოსახლეობის იმუნური ფენა და ისიც არ არის მაღალი. პირიქით, ცოტა კიდევ უფრო დაბალია, ვიდრე წითელასადმი. აქედან გამომდინარე, უახლოეს ერთ-ორ წელიწადში არ არის გამორიცხული, წითურა ასე ფართოდ გავრცელდეს. ამიტომ იყო დაგეგმილი 2008 წელს წითელა-წითურა საწინააღმდეგო კამპანია. ის რომ კარგად გაგვეკეთებინა და არ ჩავარდნილიყო, ამ ქვეყანაში დავივიწყებდით, რა იყო წითელა და წითურა.

***— ამჟამად მიმდინარე ვაქცინაციის მასშტაბებით კმაყოფილი ხართ?***

— არა, ჯერ არ ვართ კმაყოფილი. მაინც პასიურობს მოსახლეობა. დღეს აცრილია 5 ათასამდე აცრაგამოტოვებული ბავშვი. ჩვენი მონაცემებით, ასეთი ბავშვი გაცილებით მეტი უნდა იყოს. ასევე 5 ათასი კონტაქტი 1700 შემთხვევაზე ძალიან ცოტაა. თითო შემთხვევაზე 10 კონტაქტი მაინც უნდა იყოს აცრილი. ჩვენ კოლეგებზე ვართ კიდევ უკმაყოფილო, რადგან ცოტანი არიან აცრილები. პირველი რისკის ჯგუფი ექიმები არიან. გვქონდა უკვე შემთხვევები, როცა ექიმები გახდნენ ავად. მე რომ მკითხო, ეს სამარცხვინოა.

მეორე, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ერთი თვეა ქვეყანაში როტა-ვირუსული ვაქცინაცია დავიწყეთ. ორი-სამი თვის ბავშვებში დაიწყო ეს ვაქცინაცია, რაც ერთ-ერთი ძალიან დიდი მიღწევაა, ენტერო-ვირუსს რომ ეძახის მოსახლეობა, ეს როტა-ვირუსია.

***— წელს პირველად დაიწყო ეს ვაქცინაცია?***

— დიახ, პირველად დაიწყო საქართველოში, სახელმწიფო პროგრამაში ჩაჯდა ეს ვაქცინა და კეთდება ორჯერადად ორი და სამი თვის ასაკში. ჩასაწვეთებელია. ეს 40 პროცენტით შეამცირებს ჰოსპიტალიზაციას იმ ბავშვებისა, რომლებიც დიარეის გამო ხდებიან ავად და შემდეგ გადასხმა სჭირდებათ. ესეც შესწავლილი გვაქვს, რომ ეს 40% სწორედ როტა-ვირუსის ბრალია. წარმოიდგინეთ, რამხელა შვება ექნება მშობელსაც და სისტემასაც, რომ ბავშვები აღარ გახდებიან მძიმე დიარეული დაავადებით ავად.

***— შეიძლება თუ არა ამ ვაქცინაციის გადავადება?***

— იცით, რაშია საქმე, როტა-ვირუსი ისე ადრე ემართება ბავშვს, თუ არ მოასწარი და 2-3 თვის ასაკში არ აცერი, მერე აზრი აღარ აქვს. ამიტომ ვადის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია. წითელა, მაგალითად, ნებისმიერ ასაკში შეიძლება აიცრას, ეს როტავირუსი — მხოლოდ 2 თვის და სამი თვის ასაკში.

***— რა ასაკამდეა შემდეგ ბავშვი დაცული დიარეისგან?***

— როტა-ვირუსი მძიმედ მიდის 5 წლამდე ასაკში, დიდებს ვერაფერს ვნებს. ანუ ჩვენ თუ დავიცავთ ბავშვს 2-3 თვის ასაკში, 5 წლამდე დაცული იქნება. დიარეა სხვა მიზეზით ყოველთვის შეიძლება დაემართოს ბავშვს, მაგრამ ყველაზე დიდი წილი რაც არის, დიარეის, იმას მოვაშორებთ.

***— რამდენად ინფორმირებულნი არიან მშობლები ამ ახალი ვაქცინის შესახებ?***

— იყო საინფორმაციო კამპანია. ჯერჯერობით აქაც არ არის მთლად კარგი მოცვა. თუმცა, რეგიონებში უფრო კარგად წავიდა საქმე. როგორც ყოველთვის, თბილისშია პრობლემა.

***— ანუ ოჯახის ექიმები „სცოდავენ“?***

— არა, თბილისში ოჯახის ექიმები კარგები არიან, მაგრამ სხვა ექიმებია ბევრი, რომლებსაც ყოველთვის საკუთარი აზრი აქვთ ხოლმე. ცნობილი პედიატრები მხარს უჭერენ იმუნიზაციას. ღიად გამოსული იმუნიზაციის წინააღმდეგ არავინ მინახავს. ეტყობა, პრივატულ საუბრებში სხვა აზრს აფიქსირებენ.

## ვაზიანში საარტილერიო სწავლება დასრულდა

ვაზიანის პირველი საარტილერიო ბრიგადის სამწყობრო მოედანზე, გუშინ, - „საარტილერიო ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადების ორგანიზების სწავლების“ დახურვის ცერემონიალი გაიმართა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 19 ქართველ ოფიცერს კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები გადაეცათ. ცერემონიალს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილეები, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, პოლკოვნიკი არსენ ცუხიშვილი და აშშ-ის სამხედრო ინსტრუქტორთა ჯგუფი დაესწრნენ.

„საარტილერიო ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადების ორგანიზების სწავლება“ ინსტრუქტორ-შემფასებელთა ჯგუფის გადამზადებას გულისხმობდა. ქართველი ოფიცრები ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით წვრთნებს ორი კვირის განმავლობაში გადიოდნენ.

საარტილერიო სწავლება ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი კვირის განმავლობაში სწავლებაში ჩართულმა ოფიცრებმა თეორიული მომზადება გაიარეს. წვრთნების მეორე ფაზაში კი პრაქტიკული საველე ამოცანები დაიგეგმა. წვრთნაში მონაწილე პერსონალის ძირითად ბირთვს, პირველი საარტილერიო ბრიგადის პირადი შემადგენლობა წარმოადგენდა.

**ნიუსპრესი**

## გარემოს დაცვის სამინისტრო სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის განხილვას იწყებს




საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, დღეიდან სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის განხილვას იწყებს

ალნიშნულთან დაკავშირებით, დღეს ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსში, სატყეო დარგის ექსპერტთა ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიხსნება.

მასში მონაწილეობას, ხელისუფლების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიღებენ.

შეხვედრის მიზანი სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის პირველადი განხილვაა, რის შემდეგაც პროექტი კომენტარებისთვის გამოქვეყნდება და საჯარო განხილვა დაინიშნება.

**ნიუსპრესი**

## მაია ფანჯიკიძემ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი საქართველოში დაპატიჟა

ნათია ხურცილავა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი საქართველოს ესტუმრება. საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გუშინ ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან შეხვედრა გამართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი საქართველოში დაპატიჟა.

— პრემიერის ვიზიტზე არ გვისაუბრია, საერთოდ ვიზიტებზე არ გვისაუბრია. მე ბატონი კერი საქართველოში დავპატიჟე. იგი დამპირდა, რომ აუცილებლად ჩამოვა. — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძის განცხადებით, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროგრესი ძალიან მაღალ დონეზე შეაფასა.

— ჩვენ ვისაუბრეთ ყველა თემაზე, რომელიც ეხებოდა აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობას. მან რასაკვირველია, ხაზი გაუსვა, აშშ-ის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ინტეგრაციის კუთხით. გარდა ამისა, მადლობა გადაგვიხადა, ავღანეთში საქართველოს წვლილისათვის, რომელიც მას გლობალურ უსაფრთხოებაში შეაქვს. დაინტერესდა, საქართველოში მიმდინარე პროცესებით, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროგრესით, რომელიც მან ძალიან მაღალ დონეზე შეაფასა და ვისაუბრეთ, ქარტიის ფარგლებში თანამშრომლობის საკითხებზე. — განაცხადა ფანჯიკიძემ.

ფანჯიკიძისა და კერის შეხვედრას ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ახლად დანიშნული ელჩი არჩილ გეგეშიძე და ნატო-სთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გეგა მგალობლიშვილი ესწრებოდნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის არჩილ გეგეშიძის განცხადებით, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი მოწადინებულია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა რამენაირად ოდნავ შემსუბუქდეს.

აღნიშნული განცხადება ელჩმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძესა და აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ჯონ კერის შორის გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

— დაისვა ბევრი შეკითხვა, რაზეც ქალბატონმა მაიამ ამომწურავი პასუხი გასცა. ეს შეკითხვები ეხებოდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამა თუ იმ მიმართულებას, ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ამ მიმართულებით მხარდაჭერისთვის მზადყოფნა გამოხატა. დაინტერესდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებით, ვისაუბრეთ, კონფლიქტებთან დაკავშირებით, ჟენევის დისკუსიებზე, რა და როგორ უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ წინსვლა დაფიქსირდეს. მას მიაჩნია, რომ ის ურთიერთობები, ის დონე ურთიერთობებისა, ფაქტობრივად, არარსებული, რაც აქამდე რუსეთთან იყო, ცუდია და მისი ამ დაინტერესებით და შეკითხვის ტონალობით იგრძნობოდა, რომ მოწადინებულია იმითი, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ეს ურთიერთობა რამენაირად ოდნავ შემსუბუქდეს. სახელმწიფო მდივანი დაინტერესდა საქართველოში მიმდინარე პროცესებით, რეფორმებით, მათ შორის, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით. დაინტერესდა იმით, თუ ზოგადად სიღარიბის დაძლევის კუთხით რა კეთდება ქვეყანაში. რა თქმა უნდა, განხილულ იქნა ქარტიის ფარგლებში თანამშრომლობის საკითხები. — განაცხადა არჩილ გეგეშიძემ.



საქართველოში აშშ-ის ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს, გაცნობით ხასიათს ატარებს.

— პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს, გაცნობით ხასიათს ატარებს. საქართველო მსოფლიოს წინაშე ახალი მთავრობით წარდგება. რაც შეეხება სახელმწიფო მდივანს, ის თავადაც ახალი დანიშნულია და პირველად შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელმაც ქვეყნის საგარეო კურსი გააცნო. საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ში მიემგზავრება. მიმდინარეობს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის მოსამზადებელი სამუშაოები. — განაცხადა ნორლანდმა.

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები დავით ზალკალიანი და თამარ ბერუჩაშვილი ბენილუქსის ქვეყნების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ზალკალიანის განცხადებით, ბენილუქსის ქვეყნების საგარეო უწყებების პოლიტიკური დირექტორების მხრიდან ევროინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს მცდელობებს მაღალი შეფასება მიეცა.

— ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა, სადაც განვიხილეთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და ის რეფორმები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ ხორციელდება. განვიხილეთ ასევე საგარეო პრიორიტეტები. კერძოდ, ქვეყნის ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ჩვენი თანამშრომლობა ევროკავშირთან და ნატო-სთან. ასევე ურთიერთობა რუსეთთან, ჟენევის ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჩვენს მზადებას ვილნიუსის სამიტისთვის, ასოცირების ხელშეკრულების ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბენილუქსის ქვეყნების საგარეო უწყებების დირექტორების მხრიდან მაღალი შეფასება მიეცა საქართველოს მცდელობებს ევროინტეგრაციის მიმართულებით. — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

გაზეთმა „იზვესტიამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბოსტონის ტერაქტის ერთ-ერთი მონაწილე, შესაძლოა საქართველოში იწვრთნებოდა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, ბოსტონის ტერაქტის ერთ-ერთი მონაწილის საქართველოში გაწვრთნასთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაძლოა, სპეკულაცია იყოს.

— ჩემთვის ეს ინფორმაცია არ არის ცნობილი, შესაძლოა, ეს სპეკულაცია იყოს. ალბათ, შესაბამისმა სტუქტურებმა უნდა გააკეთონ განცხადება შესაბამისი გამოძიების საფუძველზე. — განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა.

# თამარ ლიჩელმა წიგნი დაწერა

ეკა ირემაშვილი

**ცნობილმა ქართველმა პიანისტმა თამარ ლიჩელმა წიგნი დაწერა, რომელიც თავისი პედაგოგის თენგიზ ამირეჯიბის ხსოვნას მიუძღვნა. წიგნის პრეზენტაცია „თიბისი გალერეაში" გაიმართა. წიგნი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გამომცემლობა „უნივერსალისა" და „თიბისი ბანკის" ხელშეწყობით გამოიცა.**

— არსებობენ ქართულ კულტურაში ადამიანები, რომელთა შესახებაც წიგნები აუცილებლად უნდა არსებობდეს. ერთ-ერთი მათგანია ბატონი თენგიზ ამირეჯიბი. როგორც კი კულტურის სამინისტრომ ამ წიგნის შესახებ შეიტყო, მაშინვე გასცა თანხმობა, რომ ამ წიგნის გამოცემაში მიიღებდა მონაწილეობას, — განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილემ ბადრი ბაგრატიონმა.

როგორც საღამოზე გახდა ცნობილი, უახლოეს მომავალში დაგეგმილია თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მუსიკალური ფესტივალის დაარსება, რომელსაც კონსერვატორია უმასპინძლებს.

— ცნობილმა მუსიკოსმა თათა ლიჩელმა წიგნი სახელწოდებით „თენგიზ ამირეჯიბი" თავის პედაგოგს, ცნობილ ქართველ პიანისტსა და სახალხო არტისტს თენგიზ ამირეჯიბს მიუძღვნა. წიგნი კულტურის სამინისტროს და თბისი ბანკის ერთობლივი ხელშეწყობით გამოიცა. პრეზენტაციის პარალელურად, გაიმართა მუსიკალური საღამო, რომელშიც პიანისტ თამარ ლიჩელთან ერთად მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს სინფონიეტა", — განაცხადა თიბისი ბანკის წარმომადგენელმა თამარ კირვალიძემ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, მუსიკოსები, კონსერვატორიის თანამშრომლები, თიბისი ბანკის წარმომადგენლები და მიწვეული სტუმრები. თამარ ლიჩელმა ლისტისა და შუმანის ნაწარმოებები დაუკრა და პედაგოგის ხსოვნას მიუძღვნა.

— ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო დღე ჩემს ცხოვრებაში. ეს წიგნი ეძღვნება ჩემს უსაყვარლეს და განუმეორებელ პედაგოგს. წიგნზე საუბარი მერიდება, მაგრამ შევეცადე გამეერთიანებინა ის მასალა, რომელიც მოვიპოვე, რადგან ასე ერთად თავმოყრილი ტექსტებით მასზე წიგნი არ გამოცემულა, — აღნიშნა პიანისტმა.

თენგიზ ამირეჯიბი 9 მარტს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქართველი პიანისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი და სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის გამგე მრავალი ქართველი პიანისტის აღმზრდელია, მათ შორის ოცზე მეტი პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. მის მოწაფეებს შორის არიან მანანა დოიჯაშვილი, ალექსანდრე კორსანტია, ელისო ბოლქვაძე, თამარ ლიჩელი, ხატია ბუნიათიშვილი.

მოსკოვის კონსერვატორიის დასრულების შემდეგ თენგიზ ამირეჯიბი ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-3 მსოფლიო ფესტივალზე ბერლინში საპატიო სიგელით დააჯილდოვეს. იგი თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ და საკონცერტო მოღვაწეობას და არაერთი პიანისტი აღუზარდა საქართველოს, რომლებიც დღეს მთელ მსოფლიოში ცნობილები არიან. გიზი ამირეჯიბი, როგორც მას კოლეგები და ახლობლები უწოდებენ, კონცერტებით გამოდიოდა რუსეთში, გერმანიაში, კანადაში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. განსაკუთრებული ადგილი მის რეპერტუარში ეჭირა შოპენის ნაწარმოებებს, რომელთა ინტერპრეტაციაში ნათლად ჩანდა პიანისტის არტისტული ბუნების თავისებურება.

მუსიკათმცოდნეების მიერ მიჩნეულია, რომ მნიშვნელოვანია თენგიზ ამირეჯიბის დამსახურება თანამედროვე ქართული მუსიკის შესრულების თვალსაზრისითაც. ის მრავალი ქართული საფორტეპიანო ნაწარმოების პირველ ინტერპრეტატორად არის მიჩნეული.

როგორც პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, წიგნზე მუშაობა თამარ ლიჩელმა ჯერ კიდევ თენგიზ ამირეჯიბის სიცოცხლეში დაიწყო. მასში თავმოყრილია პედაგოგის მადლიერი მოწაფეების წერილები, ასევე ფოტოები პედაგოგის მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მომენტებიდან, ცნობილი და უცნობი მომენტები მისი ცხოვრებიდან. წიგნი სამენოვანია და მასში წარმოდგენილია ტექსტები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე.

თიბისის გალერეა ხშირად აწყობს კლასიკური მუსიკის საღამოებს. ამ დარბაზში ახალგაზრდა მუსიკოსმა სალომე ჟორდანიამ გამართა კონცერტი, რომელიც მიეძღვნა თიბისი ბანკის სათავო ოფისის შენობის 100 წლის იუბილეს. როგორც კონცერტის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, სალომე ჟორდანია მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია. ის მონაწილეობს ფესტივალებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. თიბისი გალერეაში მან შეასრულა შუმანის, ბეთჰოვენის, ლისტის, სკრიაბინის, შტრაუსისა და სკარლატის ნაწარმოებები. თიბისი გალერეაში რიხარდ ვაგნერის საიუბილეო წელთან დაკავშირებით ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო გამართა პიანისტმა ელისო ასათიანმა, რომელსაც „სიტყვა და ბგერა" უწოდა. საღამოზე შესრულდა ე.წ. „ახალი რომანტიული სკოლის" უდიდეს წარმომადგენელთა ჰექტორ ბერლიოზის, ფრანც ლისტისა და თავად რიხარდ ვაგნერის ნაწარმოებები.

თიბისი გალერეაში კლასიკური მუსიკის საღამოების გარდა ეწყობა ახალი გამოცემების პრეზენტაციები და ცნობილ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები. გამომცემლობა „დიოგენემ" ახალი პროექტის „ამერიკელები" პრეზენტაცია სწორედ თიბისი გალერეაში მოაწყო.

— სერია „ამერიკელები" მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისა და ოცდამეერთე საუკუნის ამერიკული ლიტერატურის 20 მნიშვნელოვან ტექსტს აერთიანებს. ეს არის წიგნები, რომელთა გარეშე ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა. სერიის ყველა წიგნი ქართულად პირველად გამოიცემა, — აღნიშნა თიბისი ბანკის წარმომადგენელმა თამარ კირვალიძემ.

ამავე გალერეაში მოეწყო „საბას" ლაურეატი პოეტისა და ესეისტის, გიორგი კეკელიძის წიგნის „მინიატურები" პრეზენტაცია. პარალელურად, შედგა წიგნის ილუსტრატორისა და მხატვრის მაია ლაშაურის ნამუშევრების გამოფენა. გალერეაში გადაწყვიტა ზურაბ აბაშიძემ თავისი ახალი წიგნის „დანგრეული კედლის ჩრდილში" პრეზენტაცია.



თიბისი არტ გალერეაში გაიხსნა ჩახოს (სერგო ჩახოიანცის) პერსონალური გამოფენა. იგი ქართული ფერწერის 60-იანი წლების ერთ-ერთ სერიოზულ წარმომადგენლად არის მიჩნეული.

— მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ წრეებში მას კარგად იცნობენ, ფართო საზოგადოებას არ მისცემია საშუალება, საფუძვლიანად გაცნობოდა მის შემოქმედებას. თიბისი არტ გალერეაში ამ გაგებით მისი პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია მხატვრის როგორც ფიგურატიული, ასევე აბსტრაქტული კომპოზიციები და პორტრეტები. თიბისი არტ გალერეისთვის ეს უკვე მეოთხე პერსონალური გამოფენაა. გალერეამ გახსნიდან დღემდე უკვე უმასპინძლა ზურაბ (პიკო) ნიჟარაძის, მამია მალაზონიას და გია გუგუშვილის პერსონალურ გამოფენებს. ჩახოს გამოფენა თიბისი არტ გალერეაში 12 მაისამდე დარჩება, — აღნიშნა თამარ კირვალიძემ.

თანამედროვე ხელოვნების ცენტრმა და თიბისი ბანკმა ერთობლივად გახსნეს გამოფენა „სკანდინავიური ხელოვნება სასწაულებს შორის", რომელშიც მონაწილეობდნენ მხატვრები ანდრეს სმებეი (ნორვეგია), ბრინდის სნებიორნსდოტირი და მარკ ვილსონი (ისლანდია-დიდი ბრიტანეთი), ელინ ვილკსტრიომი დენის რომანოვსკისთან თანამშრომლობით (შვედეთი), ევა კოჰი (დანია), პოში (შვედეთი), ლარს ლაუმანი (ნორვეგია), ლესლი ჯონსონი (შვედეთი), საშა ჰუბერი (აშშ).

— კინოთეატრ „რუსთაველში" კი განხორციელდა თიბისი ბანკისა და კინოთეატრ „რუსთაველის" ერთობლივი პროექტი — გაიხსნა საქართველოში ყველაზე კომფორტული და მყუდრო კინოდარბაზი თიბისინემა, სადაც ნებისმიერ მსურველს დახვდება ორიგინალური გარემო, სასიამოვნო მუსიკა, განსხვავებული დიზაინი, განსაკუთრებულად კომფორტული სავარძლები, მინი-ბარი და სასმელების მრავალფეროვანი არჩევანი. კინოდარბაზის გახსნაზე მიწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ახალი კინოსივრციდან ბერნარდო ბერტოლუჩის ახალი ფილმი „მე და შენ" ენახათ, — აღნიშნა გალერეის წარმომადგენელმა.


## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94, 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33, 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით შეღავათიან ფასებში. ტელ:. 598 24-40-90.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# სასწაული — ორმოცაძის ბოლო წამი

**არმია – დინამო 66:67**

(19:12; 19:22; 14:16; 14:17)

დინამოელთა 19 წლის ფორვარდმა გიორგი ორმოცაძემ თავისი მთელ მატჩში მხოლოდ 3 ქულა შესძინა გუნდს, სამივე ბოლო წამზე და თავის გუნდს 67:66 გაამარჯვებინა.

მატჩის ბოლო წამებზე ყველაფერი ძალიან დრამატულად და ემოციურად წარიმართა. კალათბურთში იშვიათად ხდება, როცა გუნდს 4-ქულიანი ჩამორჩენა 5 წამში გაებათილებინოს და ძირითად დროში მოეგოს. დინამოელებმა ეს სწორედ „არმიასთან“ მატჩში მოახერხეს.

მატჩის დასრულებამდე 10 წამით ადრე გიორგი გამყრელიძემ 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და „არმია“ 64:60 დააწინაურა. დინამოელმა ბექა ჩიკვილაძემ სწრაფი ორქულიანი ჩააგდო და სირენამდე 6 წამით ადრე ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა. დინამოელებმა უმალვე ტაქტიკური ჯარიმა აიღეს და დასრულებამდე 5,1 წამით ადრე საჯარიმოს ხაზზე გიორგი შარაბიძე დადგა. არმიელთა ცენტრმა ორივე ტყორცნა ჩააგდო და თავისიანები 66:62 დააწინაურა.

დინამოელთა თავკაცმა ირაკლი ხოშტარიამ წუთშესვენება აიღო, რის შემდეგაც მისმა გუნდმა ბურთი ცენტრიდან შემოიტანეს. დინამოელებმა პასი პირდაპირ ფარქვეშ მყოფ ქიენ კარტერს მიაწოდა, რომელმაც ბურთი ჰაერში დაიჭირა და მიწაზე დაუშვებლად ჩააგდო – 64:66 მატჩის დასრულებამდე 4 წამით ადრე. წუთშესვენების შემდეგ ბურთი ცენტრიდან გამყრელიძემ შემოიტანა, რომელიც პასს ბესიკ ლეჟავას აწვდიდა, თუმცა გიორგი ორმოცაძემ ჩაჭრა, ნახევარი მოედანი გადალახა და სირენამდე 1 წამით ადრე ორქულიანი ხომ ჩააგდო, თან ირაკლი საყვარელიძე მასზე დაჯარიმდა – 66:66. ასეთ კრიტიკულ მომენტში, უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის თანხლებით, 19 წლის ახალგაზრდამ საჯარიმოც ჩააგდო და „დინამოს“ გამარჯვება მოაპოვებინა – 67:66.

დინამოელთაგან 20 ქულით ბომბარდირი ბექა ჩიკვილაძე გახდა, ხოლო ქიენ კარტერმა 18 მიითვალა. „არმიას“ კი შარაბიძემ ულიდერა, რომელმაც ორმაგი დუბლი შეასრულა – 25 ქულა, 10 მოხსნა, ხოლო ბესიკ ლეჟავამ შეხვედრა 18 ქულით დაასრულა.

### მატჩის შემდეგ

***ირაკლი ხოშტარია (დინამო):***

– ვფიქრობ დღევანდელ მატჩში ძალიან გაგვიმართლა. კალათბურთი იმიტომ არის საინტერესო რომ თამაში ბოლო წამამდე გრძელდება, რაც დღეს მოხდა ასეთი რამ იშვიათად ხდება. დიდი მადლობა ჩემს გუნდს ასეთი ბრძოლისთვის თავდადებული თამაშისთვის. თავიდან ცუდად დავიწყეთ და იყო შეცდომები, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

***კოტე ტუღუში (არმია):***

– მიჭირს საუბარი. რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. ძალიან დიდი გამოცდის წინაშე ვდგავართ, ფაქტობრივად მოგებული თამაში წავაგეთ. სერია ორ მოგებამდე გრძელდება და წინ საინტერესო შეხვედრა გველის. მთავარი ახლა იმ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვაა, რაც ჩვენ გუნდს აქვს. რაც შეეხება „დინამოს“, ჩემი აზრით გუნდი სწორედ ახლაა სრულყოფილ ფორმაში.

***გიორგი ორმოცაძე (დინამო):***

– სერიაში პირველი თამაში მოვიგეთ. გაგვიმართლა, იმედია მორიგი შეხვედრა აქამდე არ მივა.

***გიორგი გამყრელიძე (არმია):***

– ძალიან რთული მატჩი იყო, საოცარი თამაში წავაგეთ. იმედია ფსიქოლოგიურად გავუძლებთ და მორიგ შეხვედრას სასურველი შედეგით დავასრულებთ.

**შსს აკადემია – სოხუმი 84:66**

(12:14; 19:13; 17:25; 26:14)

საბოლოო ანგარიში გიორგის კეცელიდისის გუნდის სოლიდურ უპირატესობაზე მიუთითებს, თუმცა თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 3 ქულას შეადგენდა.

გრიგოლ შვანგირაძის სამქულიანის შემდეგ „სოხუმი“ მეტოქეს 59:62 მიუახლოვდა. მაყურებელი დაძაბული ფინალის მოლოდინში იყო, მაგრამ აკადემიელთა შედეგიანმა თამაშმა შეხვედრას ინტრიგა მალევე დაუკარგა. კირკ არჩიბეკის, დენოტა ვონისა და ბენჯამინ რეიმონდის სიზუსტის წყალობით „შსს-აკადემიამ“ 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა. აკადემიელები ამაზე არ შეჩერდნენ და სულ მალე კეცელიდისის გუნდის უპირატესობამ



20 ქულას მიაღწია. თავი აკადემიელთა კვიპროსელმა ლეგიონერმა ვასილის კუნასმა გამოიჩინა.

საბოლოოდ ფავორიტად მიჩნეულმა აკადემიელებმა 84:66 გაიმარჯვეს და სერიაში 1:0 დაწინაურდნენ. გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო ამერიკელი ლეგიონერი კირკ არჩიბეკი 20 ქულითა და 16 მოხსნით, ხოლო ბენჯამინ რეიმონდმა პირად ანგარიშზე 19 ქულა ჩაიწერა. სოხუმელთა შორის 24 ქულა ჰჰქონდა ვახტანგ ქადარიას, 17 – ბოშკო სტოიაკოვიჩს, ხოლო ირაკლი ჩლაიძემ შეხვედრა 12 ქულით დაასრულა.

***გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):***

– ვულოცავ გუნდებს პლეი ოფის დაწყებას, ეს არის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ეტაპი. ჩვენ, რა თქმა უნდა, შევეცდებით შედეგის მიღებას. უნდა აღვნიშნო რომ დღევანდელი მსაჯობით კმაყოფილი ვარ, რაც შეეხება ახალ მოთამაშეს, ვასილის კუნასს, კარგად შეეწყო გუნდს, თუმცა შეთამაშებისთვის. გარკვეული დროა საჭირო. ხვალ მსუბუქი ვარჯიში გვექნება. განვიხილავთ თამაშს და მოვემზადებით მორიგი შეხვედრისთვის.

***ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):***

– შსს აკადემია ჩვენზე მაღალი კლასის გუნდია, საინტერესო თამაში იყო. არვიცი ვინ გაიმარჯვებს სერიაში, თუმცა განმეორებით შეხვედრაში აუცილებლად ჩვენ გავიმარჯვებთ.

***ვასილის კაუნასი (შსს აკადემია):***

– მადლობა ყველას ვინც ჩემს საქართველოში ჩამოყვანაზე იზრუნა. მომწონს სუპერლიგა, მომწონს ასევე ჩემი გუნდი, დღეს განსაკუთრებული დღე იყო ჩემთვის და რა თქმა უნდა სამომავლო გეგმები შსს აკადემიას უკავშირდება.

***ირაკლი ჩლაიძე (სოხუმი):***

– ვულოცავ შსს-ს მოგებას, უკმაყოფილო ვარ ჩვენი გუნდის თამაშით, რადგან ფაქტობრივად მესამე და მეოთხე მეოთხედში ვითამაშეთ. შსს, ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი გუნდია და 2013 წლის ჩემპიონის უპირველესი კანდიდატია, თუმცა მეც და ჩემი გუნდიც მორიგ შეხვედრაში ჩვენს მაქსიმუმს გავაკეთებთ და ვეცდებით რომ თამაში მოგებით დავასრულოთ.

**ოლიმპი – თსუ 99:64**

(30:13; 18:11; 21:23; 30:17)

რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა ოლიმპელებმა ზედმეტი გართულების გარეშე მოუგეს სტუდენტებს და სერიაში 1:0 დაწინაურდნენ.

ლეგიონერებით გაძლიერებული ოლიმპელები მესამე წუთისთვის 10:0 იგებდნენ, რის შემდეგაც ანგარიშში სხვაობა 10 ქულაზე ნაკლები არ ყოფილა.

„ოლიმპის“ შემადგენლობაში პირველად ითამაშა ამერიკელმა ლეგიონერმა დარენ მორმა, რომელიც კაზანჯიანის გუნდს 3 დღის წინ შეუერთდა. მორმა შეხვედრა 9 ქულით დაასრულა, ხოლო ოლიმპელთაგან საუკეთესო 16 ქულის და 15 მოხსნის მომგროვებელი სტეფან მილოშევიჩი იყო. ორმაგი დუბლი მიითვალა ლიტველმა მარტინას ანდრიუკაიტისმა, რომელმაც პირად ანგარიშზე 14 ქულა და 10 მოხსნა ჩაიწერა. დამარცხებულთაგან 13-13 ქულა ჰქონდათ გივი ბაქრაძესა და ვასილ ბერუაშვილს, ხოლო თსუ-ში ერთადერთი ორმაგი დუბლი – 12 ქულა და 11 მოხსნა კოტდივუარელმა სერჟ ასელაინმა მოაგროვა.

***გია კაზანჯიანი (ოლიმპი):***

– ჩვენი გუნდისთვის ეს დაგეგმილი მოგება იყო, ერთადერთი რაც არ მომწონს ამ თამაშში 19 დაკარგვაა, რომელიც მომავალში ხელს შეგვიშლის. ამ მხრივ ბევრი გვაქვს სამუშაო.

***გიორგი ჩხეიძე (თსუ):***

– ვულოცავ ოლიმპს მოგებას, ვიცოდით რომ ასეთ მეტოქესთან თამაშს ვერ მოვიგებდით, უბრალოდ არ გვინდოდა დიდი ანგარიშით დამარცხება.

# ფინალისტების ვინაობა 8 მაისს გაირკვევა

**მეტალურგი – დინამო (თბ) 2:1**

**რუსთავი.** ფოლადი

0:1 დვალი (23), 1:1 ახალკაცი (68), 2:1 საჯაია (85)

**მეტალურგი:** ალავიძე, გავაშელიშვილი, ინწკირველი, ჯაფარიძე, სუხიაშვილი, ლობჟანიძე (ახალკაცი 57), დ.საჯაია, რაზმაძე, დობროვოლსკი, მენთეშაშვილი (მიქაბერიძე 77), ფიფია

**დინამო:** ლორია, გივი კვარაცხელია, გველესიანი, გლიშიჩი, მენდი, ხმალაძე, მერებაშვილი (ალვარო, 56), პაპავა, გრაიციარი (სეთურიძე, 78), კოტო (ტატანაშვილი, 85), დვალი

სულ სხვა გუნდი გამოჩნდა „დინამო“ ესპანელი ჩისკოს გარეშე. დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის არყოფნაში თბილისელებმა ულიმღამო, უფანტაზიო ფეხბურთი აჩვენეს. თუმცა, თავის დასამშვიდებლად ისიც ეყოფათ, რომ მინიმალური ანგარიშით წააგეს, მეტოქის მოედანზე ბურთი გაიტანეს და საპასუხო მატჩი უკვე ესპანელიც შეუერთდება. ეს კი „დინამოსთვის“ დიდი პლუსია და ფინალში გასვლის შანსიც ჯერ კიდევ მეტი აქვთ.

თავის მხრივ, „მეტალურგი“ ევროტურნირზე მოხვედრას საქართველოს თასიდან აპირებს და მცირე ნაბიჯი გადადგა, თუმცა წინ მძიმე ბრძოლა ელის და როგორ შეძლებს ამოცანის შესრულებას, ეს 8 მაისს, „დინამო არენაზე“ გამოჩნდება.

ანგარიშის გახსნამდე, მომენტი არც ერთ კართან შექმნილა და გაშვებული გოლი, დიდ წილად, მასპინძელთა დამსახურებაა. 23-ე წუთზე, გიორგი გავაშელიშვილის პასის შემდეგ, საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს მყოფ ლუკა რაზმაძეს ბურთი ჯაბა დვალმა აართვა და კარშიც გამოზომილად დაარტყა – 1:0.

33-ე წუთზე, გოგი ფიფიამ საპასუხო გოლი კი გაიტანა, მაგრამ მთავარმა მსაჯმა, სირიელმა აბდულა ბასლეჰელიმ ხელით თამაში დაუფიქსირა.

მეორე ტაიმი 10 წუთის დაწყებული იყო, რომ ყიფიანმა მოედანზე რომან ახალკაცი შეუშვა და რომ იტყვიან – გამოიცნო. ახალკაცი თამაშში აქტიურად ჩაერთო და საბოლოო ჯამში, გატანილი გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

68-ე წუთზე, „დინამოს“ საჯარიმოში მყოფი ფიფიამ დარტყმული ბურთი ლორიამ ცუდად მოიგერია და კართან ახლოს მყოფმა ახალკაცმა ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ გვერდითი მსაჯი შეცდა და ახალკაცი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

85-ე წუთზე, „მეტალურგის“ კონტრშეტევის დროს, ახალკაცმა საჯარიმოში საჯაია მოძებნა, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა.

**ჩიხურა – სიონი 2:0**

**ივანწმინდა.** ცენტრალური

1:0 ოდიკაძე (17პ), 2:0 რეხვიაშვილი (20)

**ჩიხურა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, ე.საჯაია, რეხვიაშვილი, კაშია, დიღმელაშვილი, ლომაშვილი, ბოლქვაძე, დეკანოიძე, კირკიტაძე (გოცირიძე 74), ნ.კვასხვაძე

**სიონი:** ბობლიაშვილი, ქემოკლიძე, სვანიძე, უგრეხელიძე, ორბელაძე, კლიმიაშვილი, ბიბილეიშვილი (ელიავა, 46), ჰაიდუჩეკი, ახალაია (მიკუჩაძე 80), ცხადაია, მანწკავა (ლექვთაძე 70)

ყველასთვის მოულოდნელად, ზემო იმერლები აგრძელებენ ევროსაგზურის მოპოვების შანსს. ეს ჩემპიონატიდანაც შეუძლიათ და ახლა უკვე თასიდანაც.

მე-17 წუთზე, საკუთარ საჯარიმოში რევაზ ქემოკლიძემ ხელით ითამაშა და დავით ოდიკაძემ 11 მეტრიდან ზუსტად დაარტყა – 1:0.

3 წუთში მასპინძლებმა ისევ გაიხარეს – ისევ სტანდარტული სიტუაციიდან. საჯარიმოს წინა ხაზთან ახლოს დანიშნული ჯარიმა ამჯერად გიორგი რეხვიაშვილა დაჰკრა უნაკლოდ – 2:0.

# გერმანული გაკვეთილი

**ბაიერნი – ბარსელონა 4:0**

1:0 მიულერი (25), 2:0 გომესი (49), 3:0 რობენი (73), 4:0 მიულერი (82)

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა, მარტინესი, შვაინშტაიგერი, რობენი, მიულერი (პისარო 83), რიბერი (შაქირი 88), გომესი (გუსტავო 71)

**ბარსელონა:** ვალდესი, ალვესი, პიკე, ბარტრა, ალბა, ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა, სანჩესი, მესი, პედრო (ვილია 83)

ასეთ შედეგს ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა – კატალონიური კლუბი გერმანული წნეხის ქვეშ მოჰყვა. სტუმრებს თვით ლეო მესის დაბრუნებამაც ვერ უშველა – არგენტინელი ფეხბურთელი მოედანზე კი არა, თითქოს განაცხადში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, ტრავმა ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა.

ალბათ „ბარსელონას“ გულშემატკივრები მსაჯობით იქნებიან უკმაყოფილო და ეს მართალიც იქნება. მარიო გომესმა აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა, რობენის გოლის დროსაც თითქოს თამაშის წესები დაირღვა გერმანელთა მხრიდან. თუმცა, კაშაის სასტვენი მათ სასარგებლოდაც სდუმდა რამდენჯერმე – ორჯერ „ბარსელონას“ კარში პენალტის დანიშვნაც შეეძლო.

ერთი კვირის შემდეგ „კამპ ნოუზე“ მნიშვნელოვანი მატჩი იქნება. ცხადია, კატალონიელები შეეცდებიან დეფიციტის აღმოფხვრას, მაგრამ ბავარიული კლუბი სულაც არ ჩანს ისეთი, რომ ვინმესთან დიდი ანგარიშით წააგოს.

ახლა გოლებზე: 25-ე წუთზე, მასპინძლებმა კუთხური მოაწოდეს, „ბაიერნი“ დიდხანს ათამაშებდა ბურთს საჯარიმოში, კატალონიელები კი ხელის შეშლას არც ფიქრობდნენ. საბოლოოდ, რობენის ჩაწოდების შემდეგ, დანტემ დანი ალვეშს საჰაერო დუელი მოუგო, მიუნხენელთა ცენტრალურ მცველს დარტყმა არ გამოუვიდა, მაგრამ ბურთი მიულერთან მივიდა, რომელმაც ახლო მანძილიდან თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

49-ე წუთზე, „ბაიერნმა“ კუთხური მოაწოდა, საჰაერო დუელი ამჯერად მიულერმა მოიგო და ცარიელი კარის წინ, თამაშგარე მდგომარეობაში მყოფ გომესს მისცა პასი. მთავარი არბიტრის ასისტენტმა თამაშგარე მდგომარეობა ვერ შეამჩნია და ანგარიში 2:0 გახდა.

73-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგზე მყოფმა რობენმა ბურთი საჯარიმოს კუთხესთან მიიღო, ალბას გასცდა და მახვილი კუთხიდან შორეულ ქვედა კუთხეში დარტყმით, ეფექტური გოლი გაიტანა. რობენის მიერ ალბას მოტყუებაში თავისი საკმაოდ დიდი წვლილი ტომას მიულერმაც შეიტანა. იმ დროს, როდესაც ჰოლანდიელი დასარტყმელად ემზადებოდა, გერმანელმა ესპანელს მისკენ მიმავალი გზა გადაუკეტა. საკამათო ეს ეპიზოდიც გახდა.

მალევე, თამაშის საუკეთესო ფეხბურთელმა, ტომას მიულერმა ტრავმა მიიღო და შეცვლა მოითხოვა, მაგრამ სანამ ცვლილება განხორციელდებოდა, კიდევ ერთხელ გაიტანა. საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შესულმა ალაბამ კარის გასწვრივ ჩააწოდა და დასწრებაზე თამაშის დროს მიულერმა ალბას აჯობა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტომას მიულერი

„ბაიერნის“ ყველა ფეხბურთელი გამოსაყოფია – დანტე, მარტინესი, რობენი... ყველა მათგანმა თავისი უდიდესი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. თუმცა, ყველაზე გამორჩეულად მიულერი მივიჩნიეთ. ის მონაწილეობდა „ბაიერნის“ ოთხივე გოლში. ორჯერ გაიტანა, გომესს საგოლე პასი მიართვა, ხოლო რობენის გოლისას ალბას დაზღვევის გზა მოუჭრა.

იუპ ჰაინკესი, ბაიერნის მთავარი მწვრთნელი:

– მთელი სეზონია, ძალიან კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ. ფანტასტიკური გუნდი გვყავს, რომლის წევრებიც ერთმანეთს მოედანზეც და მოედნის მიღმაც ბრწყინვალედ უგებენ. „ბაიერნი“ ტექნიკურ-ტაქტიკურად და ფიზიკურად მზადაა დიდი წარმატებებისთვის. გამარჯვებისკენ სწრაფვა კი ბოლო წლებში ევროტურნირების დასკვნით ეტაპებზე ნაწვნევმა იმედგაცრუებებმა გაგვიძლიერა. რაც შეეხება უშუალოდ „ბარსელონასთან“ დაპირისპირებას, შედეგით ცხადია ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ ემოციებს არ ავყვები. წინ კიდევ ერთი მძიმე შეხვედრა გველის ესპანეთში.

ხორდი როურა, ბარსელონას მთავარი მწვრთნელის ასისტენტი:

– როცა ასეთი ანგარიშით აგებ, კარგ ხასიათზე ვერაფრით იქნები. „ბაიერნმა“ ბრწყინვალედ ითამაშა და მინდა მივულოცო. მეტოქემ გვაჯობა. რაც შეეხება მსაჯობას, მიმდინარე სეზონში ამაში ნამდვილად არ გვიმართლებს. დღესაც არაერთი შეცდომა დაუშვეს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ბაიერნი-ბარსელონა ........................ 4:0

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

მილუოლი-ბლექბერნი ..................... 1:2

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფები**

მაიამი-მილუოკი ............................. 98:86

**სერიის ანგარიში: 2:0**

ნიუ იორკი-ბოსტონი ...................... 87:71

**სერიის ანგარიში: 2:0**

დენვერი-გოლდენ სტეიტი .... 117:131

**სერიის ანგარიში: 1:1**

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-ვინიპეგი ..................... 5:3
კაროლინა-აილენდერსი ..... 3:3(1:0ბ)
ნიუ ჯერსი-მონრეალი...................... 3:2
პიტსბურგი-ბუფალო ........................ 2:4
ფილადელფია-ბოსტონი ................. 5:2
ფლორიდა-რეინჯერსი ................... 3:2
მინესოტა-ლოს ანჯელესი .............. 2:1
ნეშვილი-კალგარი ........................... 4:3
სენტ ლუისი-კოლორადო ................ 3:1
სან ხოსე-დალასი ......................... 3:2ხსს

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ქართველებმა წაგებით დაიწყეს

პორტუგალიაში მიმდინარე საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე 19-წლამდე ნაკრებებს შორის, პირველი მატჩი გამართა საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა და მასპინძელთა გუნდთან 0:2 დამარცხდა.

გია ცეცაძის გუნდმა, ორივე გოლი პირველ ტაიმში გაუშვა. 25-ე წუთზე თებიძის კარში ჰორტამ გაიტანა, ტაიმის ბოლო წუთზე კი, თავი უკვე ჰელდერ კოშტამ გამოიჩინა.

მატჩის მიმდინარეობისას კი, ჩვენმა ფეხბურთელებმა რამდენიმე ძალზე რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, თუმცა, დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტე არ ჰყოფნიდათ.

მომდევნო შეხვედრას ცეცაძის გუნდი 25 აპრილს, სერბეთის წინააღმდეგ, სტადიონ „ფერნანდო სანტოსზე“ გამართავს.

პორტუგალიელების წინააღმდეგ ცეცაძემ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: თებიძე, სანდოხაძე, ჭანტურია, უბილავა, მთიულიშვილი (გეგეჭკორი 46), ფონიავა (გორობია 83), ენდელაძე (დვალი 56), სამუშია (მარკოზაშვილი 46), ზივზივაძე (კაჭარავა 66), არაბული

# ელენე გლურჯიძე თბილისში იცეკვებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ინგლისის ნაციონალური ბალეტის დასის პრიმა-ბალერინაა. მის რეპერტუარშია მთავარი პარტიები ბალეტებში „ჟიზელი“, „დონ კიხოტი“, „მძინარე მზეთუნახავი“, „მანონი“, მისი კარიერის გამორჩეული ეტაპია ბოსას პარტიის ცეკვა მაიკლ კორდერის „თოვლის დედოფალში“ და ვირჯინია „კანტერვილის აჩრდილში“. იგი მონაწილეობდა ქეთი მელუას სიმღერის „მხოლოდ ტკივილი“ ვიდეო რგოლში და ბი-ბი-სისი დადგმაში „იმპრესიონისტები“. ელენე გლურჯიძე კრიტიკოსთა წრის მიერ დასახელებულია „საუკეთესო ბალერინად“, მან გაიმარჯვა ერთ-ერთი ინგლისური ვებ გვერდის გამოკითხვაში ნომინაციაში „საუკეთესო ბალერინა“. ამ ნომინაციის ლიდერი იგი ორჯერ გახდა. პერმის მეშვიდე ღია კონკურსში გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო პარტნიორი“. ქართველი ბალერინა არის ბალეტის სოლისტთა პარიზის მე-8 საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული.

რაც შეეხება მის პარტნიორს, ივან პუტროვი პრემიერი და პროდიუსერია, ის უკრაინელია და საბალეტო განათლებაც კიევის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ინსტიტუტში და ინგლსისის სამეფო ბალეტის სკოლაში მიიღო, რის შემდეგაც ენტონი დაუელის მიწვევით სამეფო ბალეტის დასს შეუერთდა, სადაც სამ სეზონში პრემიერი გახდა. მის რეპერტუარშია წამყვანი როლები ისეთი ქორეოგრაფების ბალეტებში, როგორებიც არიან კენეტ მაკმილანი, ფრედერიკ ეშტონი, ჯორჯ ბალანჩინი, მიხეილ ფოკინი, გლენ ტეტლი, ჯონ კრანკო, ავგუსტ ბურნონვილი, ჯერომ რობინსი, გერმან ზამუელი, უილიამ ფორსაითი, ირჟი კილიანი, რასელ მალიფანტი, ხავიერ დე ფრუტოსი, ნაჩო დუატო და უეინ მაკგრეგორი. ივან პუტროვი წარმატებით გამოდის მსოფლიოს ყველაზე სახელოვან თეატრებში უნგრეთის, უკრაინის, ლიტვის ნაციონალურ საბალეტო დასებთან, ვენის სახელმწიფო ოპერაში და ინგლისის სამეფო ბალეტში. ის დაჯილდოვებულია ლოზანას კონკურსის პირველი ჯილდოთი, სერჟ ლიფარის საერთაშორისო საბალეტო კონკურსის ოქროს მედლით, ვაცლავ ნიჟინსკის ფესტივალის ოქროს მედლით, ნაციონალური ცეკვის კრიტიკოსთა ჯილდოთი, მედლით შრომისა და მიღწევებისთვის უკრაინის პრეზიდენტისგან, არის უკრაინის დამსახურებული არტისტი. ორი წლის წინ მან განასახიერა კარლის როლი ხავიერ დე ფრუტოსის პროექტში „ყველაზე საოცარი რამ“. დადგმა ცნობილმა მუსიკალურმა ჯგუფმა „პეთ შოფ ბოისმა“ მას შემდეგ შექმნა, რაც პუტროვმა მათი 2005 წლის ალბომი „სახაზო ხომალდი პოტიომკინი“ მოისმინა, რომელიც ამავე სახელწოდების ფილმის მუსიკალური გაფორმებისთვის შეიქმნა. უკრაინელმა პრემიერმა ალბომის მოსმენის შემდეგ ჯგუფს მისთვის საბალეტო მუსიკის დაწერა სთხოვა. ბალეტი ბიბისიმ გადაიღო და სხვადასხვა პრიზით დაჯილდოვდა. შარშან ივან პუტროვმა ჩაიფიქრა და ლონდონის სედლერ'ს ველს თეატრში განახორციელა პროექტი „მამაკაცები მოძრაობაში“, დადგმა, რომელიც მამაკაცის საბალეტო ცეკვის საუკუნოვან განვითარებას შეეხება. ნაშრომს ორი წარმატებული საღამო ჰქონდა ლონდონში, 2013 წლის თებერვალში კი მოსკოვში იყო წარმოდგენილი.

ამჯერად უკრაინელი პრემიერი თბილისში ჩამოდის და ქართველ პრიმა-ბალერინასთან ერთად თბილისელი მაყურებლის წინაშე რუსთაველის თეატრში წარდგება. ელენე გლურჯიძის შემოქმედებით საღამოზე დასასწრები ბილეთის ფასი 20-დან 80 ლარამდეა.

***ეკა ირემაშვილი***


## EMEA Finance-მა თიბისი ბანკი საქართველოში 2012 წლის საუკეთესო ბანკად დაასახელა




ჟურნალმა EMEA Finance თიბისი ბანკს 2012 წლის საუკეთესო ბანკის სტატუსი მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ EMEA Finance-მა პირველად 2011 წელს დაიწყო ქართული ბანკების შეფასება და იმავე წელს თიბისი ბანკმა გაიმარჯვა ამ ნომინაციაში.

„ჩვენ ძალიან გვეამაყება, რომ მივიღეთ 2012 წლის საუკეთესო ბანკის წოდება ჟურნალისგან, EMEA Finance. ეს პრესტიჟული ჯილდო არის არა მხოლოდ ბანკის ძლიერი ფინანსური შედეგების, არამედ 2012 წლის განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების აღიარებაც,“ – განაცხადა ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

„საქართველო იმსახურებს ბანკს, რომელიც შეძლებს სწრაფი ზრდის ტემპის შენარჩუნებას. თიბისი ბანკი კი ამ კონტექსტში უდაოდ საუკეთესოა“, – აცხადებს კრისტოფერ მური, EMEA Finance ჟურნალის გამომცემელი და გენერალური დირექტორი. „ბანკების მაღალი ზრდის ტემპს ხშირ შემთხვევაში მოჰყვება გარკვეული გართულებები, რის გამოც თიბისი ბანკი მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს კაპიტალის ზრდისა და რისკების მენეჯმენტის პროცედურების მუდმივ გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე. ამჟამად, ბანკის უმოქმედო სესხების კოეფიციენტი მხოლოდ 1%-ს შეადგენს, რაც საქართველოში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. შესამაბისად, თიბისი ბანკი დამსახურებული გამარჯვებულია ქვეყნის საუკეთესო ბანკის ნომინაციაში“, – აცხადებს ჟურნალის გამომცემელი.

EMEA Finance არის ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც ფოკუსირებულია ევროპის, შუა აზიისა და აფრიკის ფინანსურ ბაზრებზე. 2008 წელს პირველად გამოიცა ინანცე, რის შემდეგაც ფინანსურ წრეში წამყვან პოზიციებზე მყოფი აუდიენციისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროდ იქცა.


# ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფი გიორგი მარგველაშვილს მიმართავს

**ეკა ირემაშვილი**

**ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს საგანგებო განცხადებას უგზავნის, რომელსაც საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია ავრცელებს. „ახალი თაობა“ ამ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:**

„ძვირფასო ბატონო გიორგი, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ შეატყობინა ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფს, რომ საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილების გამო ქართული წიგნის ბაზარი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. 2013 წლის აპრილის დასაწყისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამომცემლობებთან ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე გააკეთა ოფიციალური განცხადება, იმის შესახებ, რომ 2013-14 სასწავლო წლებში სასკოლო სახელმძღვანელოები დაიბეჭდება და დარიგდება უფასოდ. ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ჰუმანური აქტია და გასაგებია, რომ გამომცემლები მზად არიან მხარი დაუჭირონ ხელისუფლების გადაწყვეტილებას სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების შესახებ, მაგრამ აცხადებენ, რომ ეწინააღმდეგებიან გამომცემელთა საავტორო და ინტელექტუალური უფლებების ძალადობრივ დარღვევას.

ხელისუფლების გადაწყვეტილება სერიოზულ გავლენას მოახდენს ქართულ საგამომცემლო ბიზნესზე. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში განათლების სამინისტრო ადგენდა კურიკულუმს და იწვევდა გამომცემლობებს, რათა მათ შესაფასებლად წარმოედგინათ თავიანთი სახელმძღვანელოები. მხოლოდ ხელისუფლებისგან თანხმობის მიღების შემდეგ შეეძლოთ გამომცემლებს დაებეჭდათ ისინი და წარედგინათ მასწავლებლებისათვის შესაფასებლად და ასარჩევად. სკოლები ირჩევდნენ სახელმძღვანელოებს, მშობლებს კი უხდებოდათ მათი შეძენა. სამი წლის წინ მთავრობამ დაიწყო გამომცემლობებისგან სახელმძღვანელოების შეძენა სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის, რადგან ერთი ცალი წიგნის ფასი (4,5 ევრო) ხელმისაწვდომი არ იყო მთელი საზოგადოებისთვის. თუმცა სიტუაცია დრამატულად შეიცვალა აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ: ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაებეჭდა წიგნები გამომცემლობებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, რომლებიც სახელმძღვანელოების ინტელექტუალური საკუთრების მფლობელები არიან, რითაც მთლიანად უგულებელყო მათი უფლება მიიღონ დადგენილი შემოსავალი ხელშეკრულების პირობების თანახმად, რომელიც მოიცავს საინვესტიციო შემოსავლებს, ავტორთა ჰონორარებსა და ლოგიკურ მოგებას.

ამ ახალი ინიციატივის შედეგად საქართველოში სახელმძღვანელოების გამომცემელთა უმრავლესობა გაკოტრდება. სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე სასკოლო სახელმძღვანელოების ელექტრონული ფაილები უკვე გადაეცათ შერჩეულ სტამბებს და სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად იბეჭდება. გარიგება, რომელიც ძალზე ხელსაყრელია სამინისტროსთვის, დამანგრეველია გამომცემლობებისთვის.

ჩვენ დაჟინებით ვთხოვთ სამინისტროს უკან წაიღოს უკანასკნელი ინიციატივები და გადასინჯოს სახელმძღვანელოების გამომცემელთა მდგომარეობა, რომლებიც ეჭვგარეშეა, რომ არიან პროფესიონალები სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში, რომელიც აუცილებელია ბავშვთა და მოზარდთა განათლებისთვის საქართველოში.

ჩვენ სრული სერიოზულობით ვთხოვთ განათლების მინისტრს, გადაისინჯოს სიტუაცია აღნიშნულ სფეროში და შეჩერდეს გამომცემელთა საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევა, რაც უკვე ხდება და შემდგომში სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზრის მონოპოლიზებას გამოიწვევს. ბაზარზე აღარ იარსებებს ალტერნატივები, ერთი წიგნი თითოეული კლასისთვის გამოცემული ერთი გამომცემლობის მიერ იქნება უზარმაზარი უკანგადადგმული ნაბიჯი იმ 22 ევროპულ სახელმწიფოსთან შედარებით, რომლებშიც ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფს თავისი წარმომადგენლობა აქვს. თუკი სიტუაცია სასწრაფოდ არ გამოსწორდება, ეს მოიტანს დამანგრეველ შედეგებს არა მხოლოდ საგამომცემლო ბიზნესისთვის, არამედ საბოლოოდ გავლენას მოახდენს ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებაზე, რომელიც კვლავაც აგრძელებს ბრძოლას თავისუფალი და ცივილიზებული საზოგადოების შესაქმნელად, რათა საერთაშორისო საზოგადოების ღირსეული წევრი გახდეს“.



წერილს, რომელსაც საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია ავრცელებს ხელს აწერს ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფის მენეჯერთა საბჭოს სახელით ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფის დირექტორი პრებენ სპასი.

საქართველოში არსებულმა გამომცემლებმა პროტესტის ნიშნად 23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღეს წიგნის მაღაზიები დაკეტეს. როგორც საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ქეთევან ჯაყელი აცხადებს:

„23 აპრილს ჩატარდა საპროტესტო აქცია „წიგნის დღე წიგნის გარეშე“. 23 აპრილს, მსოფლიოში წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე აღინიშნება. უკვე წლებია, მსოფლიოს საქართველოც უერთდება, თუმცა წელს განსხვავებული ფორმატით – სახელმძღვანელოების გამომცემლებისადმი სოლიდარობის ნიშნად 23 აპრილს არ იმუშავეს წიგნის მაღაზიათა უმრავლესობამ, ხოლო პუშკინის სკვერში არ გაიმართა ტრადიციული წიგნის გამოფენა-გაყიდვა. ეს არის ქართველ გამომცემელთა და წიგნის გამავრცელებელთა უპრეცედენტო საპროტესტო აქცია, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებას ეხმიანება. ამ გადაწყვეტილების თანახმად ილახება სასკოლო სახელმძღვანელოების შემქმნელების – ავტორებისა და გამომცემლების საავტორო და ქონებრივი უფლებები.

23 აპრილს, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს გამართული აქციის ორგანიზატორების მიზანია იმის ჩვენება, რომ ინტელექტუალური საკუთრება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახის საკუთრება, ჩვენს ქვეყანაში ხელშეუხებელი უნდა იყოს. საქართველოს კონსტიტუციით ინტელექტუალური საკუთრება განსაკუთრებულად არის დაცული. კონსტიტუციის მიხედვით ინტელექტუალური საკუთრება ხელშეუვალია, ანუ, სხვა ტიპის საკუთრებისგან განსხვავებით, მისი შეზღუდვა სრულიად დაუშვებელია“.

# ჯაზის საერთაშორისო დღეს საქართველოც უერთდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სპეციალურად თბილისის ივენთ ჰოლში, კონცერტს თბილისის ბიგბენდი თავის მეგობრებთან ერთად გამართავს, რის შემდეგაც დიდ ეკრანზე, სტამბოლში გამართული გალა კონცერტის ტრანსლირება პირდაპირ ეთერში მოხდება. აგრეთვე მთელი დღის მანძილზე, რადიო ჯაზ ეფემ 97.5-ზე იქნება ღია ეთერი, სადაც დღის განმავლობაში უამრავი ადამიანი ესტუმრება სტუდიას, – განაცხადა პროექტის კურატორმა ლევან გიორგაძემ.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან კომპანია „ ისთერნ ფრომოუშენსი“, რადიო ჯაზ ეფემ 97.5 და კლუბი „ჯაზ ანლიმიტედ“. ჯაზის საერთაშორისო დღის აღნიშვნას საქართველოში მხარს უჭერენ საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის მერია, ხოლო სპონსორობა ითავეს ამერიკის საელჩომ საქართველოში, თიბისი ბანკის პერსონალურმა საბანკო მომსახურებამ თიბისი სტატუსი.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მთავრის უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 2. ყურის ექიმი; 3. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 4. რუსი პოეტი; 5. მოხარშული და გადაზელილი ყველი; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. სტუმრის დამხვედრი, მიმღები; 12. ცხოველის ან მცენარის სხვადასხვა ჯიშების ნაჯვარი; 15. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 16. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 17. პატარა სამკუთხა ალამი; 20. პოლონელი მწერალი, რომანების „თოჯინა“, „ფარაონის“ ავტორი.

**თარაზულად:** 6. დასასვენებელი, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება; 7. ერთ-ერთი უძველესი ქართული დამწერლობა; 8. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 9. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 13. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდეგ დარჩენილი ნარჩენები; 14. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 18. მანქანაზე ნაქსოვი ნაწარმი; 19. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 21. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 22. კომბინაცია პრეფერანსში; 23. ქართველ მწერალ ეგნატე ინგოროყვას ფსევდონიმი; 24. სხეულის მოხდენილი, რიტმული მოძრაობის ხელოვნება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ზოსტერა; 2. კომუნიკე; 3. გიურზა; 4. რანდი; 5. ლილიპუტი; 8. ბაზილიკა; 12. პატი; 13. სათაფლია; 14. პიროგა; 16. ლაზიერი; 18. ოხორი; 20. მოკო.

**თარაზულად**: 6. სომბრერო; 7. ერისთავი; 8. ბუზუკი; 9. ლეგია; 10. ნიაღვარი; 11. პამპერსი; 15. ტაქიკარდია; 17. „მინდია“; 19. გრამოფონი; 21. „პლეიბოი“; 22. ბატალიორი; 23. „ლოკჰიდი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სკანსენი; 2. „ადიდასი“; 3. პიერო; 4. მეჯლისი; 5. სოპრანო; 10. ზარზუელა; 11. ექსტრაქცია; 12. ანანასი; 15. ცურტაველი; 16. ჩხიკვი; 17. სურდინა; 20. ბანგი.

**თარაზულად**: 6. აკრედიტაცია; 7. ჰერცოგი; 8. სკოტები; 9. თეზისი; 13. სოია; 14. ოქსინო; 18. ინტერპოლი; 19. ტუაზი; 21. ხალთა; 22. „დიქცია“; 23. პარმეზანი; 24. ილინოისი.

# სამაგისტრო გამოცდებისათვის 7500-მდე მსურველი დარეგისტრირდა



24 აპრილის მონაცემებით, 2013 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის რეგისტრაცია 7500-მდე მსურველმა გაიარა საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია 25 აპრილს, 18:00 საათზე დასრულდება. კანდიდატები, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ გაივლიან რეგისტრაციას საერთო სამაგისტრო გამოცდაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, – აცნობეს „მედიანიუსს" გამოცდების ეროვნულიო ცენტრიდან.

2013 წელს მაგისტრანტობის კანდიდატები რეგისტრაციას გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გადიან (წწწ.ნაეც.გე; ონლინე ნაეც.გე). რეგისტრაცია 5 აპრილის დაიწყო და 25 აპრილის ჩათვლით იწარმოებს.

ინტერნეტით რეგისტრაციისათვის მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს პირადობის მოწმობა, მან ასევე უნდა გადაიხადოს გამოცდაში მონაწილეობის საფასური.

2013 წელს მაგისტრანტობის მსურველები ერთსა და იმავე საგამოცდო ტესტს აღარ ჩააბარებენ, მათთვის მიმართულებების მიხედვით შემუშავდა სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები.

**მედიანიუსი**

# „კავკასიის ფონდი" „იზვესტიას" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს

„კავკასიის ფონდი" რუსული გამოცემა „იზვესტიას" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. ამის შესახებ ნათქვამია „კავკასიის ფონდის" განცხადებაში, რომელსაც „მედიანიუსი" უცვლელად გთავაზობთ:

„კავკასიის ფონდი" უარყოფს გაზეთ „იზვესტიის" წერილის ცილისწამებას, თითქოს იგი „ჯეიმსთაუნის" ფონდთან ერთად შეერთებული შტატებისა და საქართველოს სასარგებლოდ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების გადმობირებას აწარმოებდა.

ფონდს არ ჩაუტარებია ამ თვალსაზრისით არავითარი ღონისძიება და სემინარი. „კავკასიის ფონდი" არ იცნობს ტერაქტში მონაწილე ტამერლანდ ცარნაევს და ყოფილა თუ არა იგი საერთოდ საქართველოში, მისთვის უცნობია. „კავკასიის ფონდი" უარყოფს ბრალდებას, რომ მისი ამოცანებია ჩრდილოეთკავკასიელთა ჩართვა რუსეთის სამხრეთ რაიონებში არასტაბილურობისა და ექსტრემისტული განწყობილებების გასაღვივებლად. „კავკასიის ფონდი" ადასტურებს, რომ მისი დედაამოცანა იყო და არის ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სამეცნიერო-აკადემიური, კულტურულოგიური და ჰუმანიტარული ურთიერთობების აღდგენა-განვითარება. ეს ინფორმაცია კი არის მორიგი მცდელობა, მსოფლიოს წინაშე საქართველოს კიდევ ერთხელ დადანაშაულებისა. ამ ძალებს, ალბათ, არ აწყობთ ფონდის მოღვაწეობა კავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვანი კულტურების მნიშვნელობის წარმოჩენასა და კავკასიის ხალხთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ხელის შეწყობის საქმეში; ამ ძალების ქმედება მიმართულია საქართველოს, კავკასიის ქვეყნების, შეერთებული შტატებისა და საკუთრივ რუსეთის საწინააღმდეგოდაც. ვფიქრობთ, ამ „საინფორმაციო ომის" ერთ-ერთი საფუძველი ისიცაა, რომ „კავკასიის ფონდის" პრეზიდენტი გივი ღამბაშიძე „კავკასიის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრული ურთიერთობების სფეროში მრავალწლიანი მოღვაწეობისათვის" სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების, ისრაელისა და პოლონეთის ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადომოღვაწეების მიერ წარდგენილია 2013 წლის ნობელის მშვიდობის პრემიაზე. და ბოლოს, გაზეთ „იზვესტიის" ცილისმწამებლური წერილის ავტორებს შევახსენებთ ბიბლიისეულ შეგონებას – „არა ცილისწამო". გაზეთ „იზვესტიის" რედაქციას კი ვთხოვთ ამ წერილის გამოქვეყნებას", – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ „იზვესტიას" ცნობით, მისთვის ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს, რომ ქართული ორგანიზაცია „კავკასიის ფონდი", რომელიც ამერიკულ არაკომერციულ ორგანიზაცია „ჯეიმსთაუნთან" თანამშრომლობდა, საქართველოსა და აშშ-ის ინტერესებისთვის მუშაობის მიზნით ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთა გადაბირებით იყო დაკავებული.

გამოცემა წერს, რომ „კავკასიის ფონდმა" „ჯეიმსთაუნის" ფონდთან ერთად 2012 წლის ზაფხულში კავკასიელი ახალგაზრდებისთვის, მათ შორის მისი რუსული ნაწილისთვის, ღონისძიებები და სემინარი გამართა. ზოგიერთ მათგანს ესწრებოდა ბოსტონის ტერაქტის ერთ-ერთი შემსრულებელი ტამერლან ცარნაევიც.

**მედიანიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები



რამაზ და სოფო საყვარელიძეები, რუსიკო მშვიდობაძე თანაუგრძნობენ თეიმურაზ, ნელი და თემურ ხუნწარიძეებს ძვირფასი მეუღლისა და დედის, დაუვიწყარი

**დოდო საყვარელიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# დიდი ბრიტანეთი ევროპის ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა

ევროპაში ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა დიდი ბრიტანეთია. ძალადობისა და მკვლელობების რაოდენობა ბოლო ათი წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში ორჯერ შემცირდა, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში. ამას ეკონომიკისა და მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტის გამოქვეყნებული ანგარიში ადასტურებს.



როგორც მკვლევარები აცხადებენ, გასულ წელს 100 ათას ადამიანზე საშუალოდ მკვლელობის ერთი ფაქტი მოდიოდა. ბოლო ათი წლის განმავლობაში დანაშაულის რაოდენობა ქვეყანაში 25%-ით შემცირდა.

ყველაზე უსაფრთხო რაიონად დიდ ბრიტანეთში ბოდლენდი დასახელდა, რომელიც ნორფოლკის საგრაფოში მდებარეობს.

ამასთანავე, კენტის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ლექტორმა, პროფესორმა მერიან ფიცჯერალდმა ინსტიტუტის მოხსენება გააკრიტიკა და განაცხადა, რომ კვლევა არასწორ ფუნდამენტურ წარმოდგენებზე არის დაფუძნებული. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობების რაოდენობა და მძიმე დანაშაულის შემთხვევები შემცირდა, ადრინდელ დონეზე დარჩა წვრილი დანაშაული.

ამას გარდა, მკვლევარებმა არ გაითვალისწინეს, რომ 2003 წელს, ქვეყანაში კრიმინოგენური მდგომარეობის გამწვავება ფასების მკვეთრი აწევით იყო გამოწვეული, რაც ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირდებოდა, თვლის ფიცჯერალდი.

ასეა თუ ისე, „ნიუსრუ.ქომი" წერს, რომ რუსეთს ბრიტანეთამდე ბევრი აკლია. გასული წლის დეკემბერში ეკონომიკის და მშვიდობის ინსტიტუტმა რუსეთი შეიყვანა ქვეყნების ათეულში, სადაც ტერორისტული საფრთხე ყველაზე მაღალია. ამ თვალსაზრისით, რუსეთი ტაილანდსა და ფილიპინებს შორის აღმოჩნდა.

რუსეთის გენერალური პროკურატურის ვებგვერდის მონაცემებით, რუსეთში ათჯერ მეტი მკვლელობა ხდება, ვიდრე ბრიტანეთში: 10,19 100 ათას ადამიანზე; ამაზე უარესი მდგომარეობა მხოლოდ ბრაზილიაში(21,02) და მექსიკაშია(23,69).

# ბანგლადეშში რვასართულიანი შენობის ჩამონგრევის შედეგად 70 ადამიანი დაიღუპა

ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში, რვასართულიანი შენობის ჩამონგრევის შედეგად 70 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 200-ზე მეტი დაშავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას „ბიბისი" ავრცელებს. წინასწარი მონაცემებით, შესაძლებელია შენობის ნანგრევებში ასობით ადამიანი იყოს მოყოლილი.

ჯერჯერობით უცნობია რვასართულიანი შენობის ჩამონგრევა რამ გამოიწვია, სამაშველო ჯგუფები ადგილზე მუშაობენ. მდგომარეობის სიმძიმედან გამომდინარე სამაშველო სამუშაოებში ქვეყნის არმიის ჯარისკაცებიც ჩაერთვნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, შენობის კედლებზე ბზარები სამშაბათს გაჩნდა. ქვეყანაში შენობების ნრგევის არაერთი შემთხვევა ფიქსირდება, რომელსაც მშენებლობის დროს არასათანადო მასალის გამოყენება იწვევს.




ბანგლადეში თანამდროვე ინდოეთის შტატ დასავლეთ ბენგალთან ერთად ქმნის ერთიან ეთნოლინგვურ რეგიონს. ბანგლადეში წარმოადგენს მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მეშვიდე ქვეყანას და შედის მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანების რიგში. აქ სიღარიბის დონე ძალიან დიდია.

# თეთრი სახლის განცხადებით, კონფლიქტის დროს, სირიას ქიმიური იარაღი არ გამოუყენებია

ამერიკის შეერთებული შტატები ვერ ადასტურებს ეჭვებს იმის შესახებ, რომ სირიის კონფლიქტში ქვეყნის ხელისუფლებამ ქიმიური იარაღი გამოიყენა. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „ფრანს-პრესი", თეთრ სახლზე დაყრდნობით ავრცელებს.



თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენლის, ჯერ კარნის განცხადებით, აშშ ყურადღებით აკვირდება სიტუაციას, თუმცა, რაიმე მონაცემი იმის შესახებ, რომ ბაშარ ასადის არმიამ, კონფლიქტის დროს ქიმიური იარაღი გამოიყენა, არ მიუღია. კორნიმ ისიც აღნიშნა, რომ სკეპტიკურად უყურებს შიშებს იმის შესახებ, რომ ქიმიური იარაღი მეამბოხეების ხელში შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ყველა საცავი, სადაც მსგავსი იარაღი ინახება, სახელისუფლო კონტროლზეა.

ტერორიზმთან ბრძოლის ევროკავშირის კოორდინატორი ჟილ დე კერშოვი კი „ბი-ბი-სისთან" საუბარში აცხადებს, რომ ასობით ევროპელი ბაშარ ასადის რეჟიმთან დაპირისპირებულ სირიელ ამბოხებულებს შეუერთდა.

მისივე თქმით, ზოგი მათგანი სახლში დაბრუნების შემდეგ შესაძლოა საფრთხეს წარმოადგენდეს რადიკალიზაციის გამო.

ჟილ დე კერშოვი ასევე აცხადებს, რომ სირიაში 500 მდე ევროპელი გაემგზავრა, ძირითადად დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან და საფრანგეთიდან არიან.

სპეცსამსახურების შეშფოთებას იწვევს ის, რომ შესაძლოა ასადს რეჟიმთან მებრძოლი ზოგი მებრძოლი ევროპიდან „ალ ქაიდასთან" კავშირში მყოფი ჯგუფების გავლენის ქვეშ მოხდეს და თავდასხმები ევროპაში დაბრუნების შემდეგ განახორციელოს.

ამ ფონზე, სირიის ოპოზიციურმა კოალიციამ, აჰმედ მუაზა ალ-ჰატიბას თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, ახალი ლიდერის ვინაობა დაასახელა.

მეამბოხეების ახალი ხელმძღვანელი, სირიის ეროვნული საბჭოს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ საბრა გახდა. ის კოალიციას ახალი პრეზიდენტის არჩევამდე უხელმძღვანელებს. წინასწარი შეთანხმებით, არჩევნები 10 მაისს უნდა შედგეს, თუმცა ეს თარიღი შესაძლოა შეიცვალოს.

ჯორჯ საბრა წინათ კომუნისტრური ხედვების მიმდევარი იყო, თუმცა მოგვიანებით, სოციალ-დემოკრატი გახდა. აღსანიშნავია, რომ აღმსარებლობით საბრა ქრისტიანია.

# ბილ გეითსს „ბიზნეს-ცოდვაში" ამხელენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

აქტორების პრობლემების განსახილველად ჩავიდა; მაგრამ დღის წესრიგი იმდენად საინტერესო არ ყოფილა, როგორც ხელჩმორთმევის ცერემონიის დაუცველობა.

მედიაში ბილ-გეითსის ქცევას „ბიზნეს-ცოდვად" აფასებენ და ოფიციალურ შეხვედრებზე სხვა კონფუზებსაც იხსენებენ. მაგალითად, მიშელ ობამამ საკუთარ თავს ბრიტანეთის დედოფალ, ელისაბედ მეორესთან ჩახუტების უფლება მისცა. ხოლო ვლადიმირ პუტინმა ესპანეთის სამეფო ოჯახის წევრებს ქუაში მთელი 20 წუთი ალოდინა.

კომპანია „მაიკროსოფტის" ხელმძღვანელის და დამფუძნებლის პირადი კაპიტალი „ფორბსის"-ის 2011 წლის მონაცემით შეადგენს 61 მილიარდ დოლარს. „მაიკროსოფტის" წლიური შემოსავალი 2007 წლისათვის 51.2 მილიარდი დოლარია; დასაქმებულია 78 000 ადამიანი მსოფლიოს 105 ქვეყანაში, სადაც „მაიკროსოფტს" საკუთარი წარმომადგენლობები აქვს.

ბილ გეითსი და მისი მეუღლე ასევე დაკავებულები არიან ქველმოქმედებით, მათ 28.8 მილიარდი დოლარი (2005 წ.) გადარიცხეს მსოფლიოს ჯანმრთელობისა და განათლების ფონდში.

ხანდახან ბილ გეითსი საკუთარ სახლში აწყობს სადილებს. სადილზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დათანხმდება გადაიხადოს 1 000 000 დოლარი მოსაწვევში. მთელი შეგროვილი თანხა კი დიუკის უნივერსიტეტში ირიცხება, სადაც მისი მეუღლე მელინდა ფრენჩი სწავლობდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 25 აპრილი**

06.30 „მოამბე„(აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„(პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„(პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„— მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„(პ/ე) 15.00 ტ/სერ. „ბორჯია„ 17.00 დ/ფ „ქართველი მუსიკოსები ამსტერდამში„ 17.30 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ.„სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ.„ბორჯია„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „გზა და კავშირი„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „როგორ შეგვქმნა დედამიწამ„ I ნაწ. 14.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 2 ნაწ. 16.00 დ/ფ „როგორ შეგვქმნა დედამიწამ„ 2 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 17 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ძვივი„ 13.00 ოტელო – ანანოს დაბადების დღე 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 16 სერ. 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ძნელად აღსაზრდელები„ 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „საბრალონი„ I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა„ I ნაწ. 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „აკაკის აკვანი„ 13.35 კონცერტი - ანდრია ბოჩელი ლას-ვეგასთან 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „ორომტრიალი„ 17.30 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი„ VI ნაწ. 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ალყა„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 შაბათის სახარების განმარტება 22.40 დოკ/ფ „კარიბჭე„ 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა„ II ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „საბრალონი„ II ნაწ.

მაესტრო 7.00, 22.30, 23.00, 23.30, 1.00, 2.00, 3.00, 3.55, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.10, 8.30, 9.15, 9.30, 10.15, 10.30, 11.28, 13.15, 13.35, 14.15, 14.35, 16.15, 16.35, 17.10, 17.35, 18.45, 19.35, 20.35, 22.05, 22.47, 23.17, 23.47, 0.35, 1.35, 2.35, 3.30, 4.30, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.57, 8.27, 8.57, 9.27, 9.57, 10.27, 10.57, 11.25, 11.57, 12.52, 13.27, 13.57, 14.27, 14.57, 15.52, 16.27, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.25, 19.55, 20.25 უკომენტაროდ|ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.55, 22.00, 22.28, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.50, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 0.00 ახალი ამბები 24 საათზე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6567 |
| ევრო | 2,1676 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5420 |
| 100 რუსული რუბლი | 5,2660 |

## ამინდის პროგნოზი 25 აპრილისთვის




## გუნდები უკვე თბილისში არიან

უეფას ფუტსალის თასის ოთხთა ფინალი ხვალ დაიწყება. ტურნირის მონაწილე გუნდები უკვე თბილისში არიან. გაგაცნობთ მომდევნო დღეების სრულ გრაფიკს – ვარჯიშების, პრესკონფერენციებისა და თამაშების განრიგს.

**25 აპრილი:** 12:00 – „ბარსელონას“ დახურული ვარჯიში სპორტის სასახლეში; 14:00 – „ბარსელონასა“ და „ქაირათის“



პრესკონფერენცია სპორტის სასახლეში; 14:30 – „იბერია სტარისა“ და „დინამო“ მოსკოვის პრესკონფერენცია სპორტის სასახლეში; 18:00 – „იბერია სტარის“ ღია ვარჯიში სპორტის სასახლეში; 19:00 – „დინამო“ მოსკოვის ღია ვარჯიში სპორტის სასახლეში; 20:00 – „ბარსელონას“ ღია ვარჯიში სპორტის სასახლეში;

**26 აპრილი:** 10:00 – „ქაირათის“ ღია ვარჯიში სპორტის სასახლეში; 18:00 – იბერია სტარი-დინამო (მოსკოვი); 20:30 – ქაირათი-ბარსელონა.

აქვე, იმ მსაჯებსაც გაგაცნობთ, რომლებიც ტურნირს მოემსახურებიან: ონდრეი ჩერნი (ჩეხეთი); ფრანჩესკო მასინი (იტალია); ედუარდო ჟოზე ფერნანდეს კოელიო (პორტუგალია); ოლეგ ივანოვი (უკრაინა).

## ასტროპროგნოზი 25 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** – არ აღელდეთ, ყველაფერი კარგად იქნება. **ლომი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასათზე დაგაყენებთ. **ქალწული** – სახლში დიდი სიხარული გელით. **სასწორი** – არ აყვეთ პროვოკაციას, ასე აჯობებს. **ღრიანკალი** – ფულს იშოვით და პრობლემაც მოგვარდება. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – დაისვენეთ და გაერთეთ, შეხვდით მეგობრებს. **მერწყული** – არ იდარდოთ, საქმე გამოვა. **თევზები** – სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 2. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 3. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 4. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 5. კართაგენელი მხედართმთავარი; 8. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 12. ქართული ხალხური თამაში ბურთით; 13. დონ-კიხოტის სატრფოს სახელი; 14. მონების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 16. მობილური კავშირგაბმულობის სისტემა საქართველოში; 18. ყვითელი ფერის, მკვრივი ფისოვანი მინერალი; 20. ინდონეზიის კუნძული, პოპულარული საკურორტო ზონა.

**თარაზულად:** 6. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 7. ბიჭის, გოგონას როლის შემსრულებელი მსახიობი ქალი თეატრში; 8. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 10. უბანი თბილისში; 11. ყველაზე მსუბუქი ქიმიური ელემენტი; 15. ბავშვების მომვლელი უცხოელი ქალი; 17. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 19. უკრაინელი კომპოზიტორი; 21. ბილიარდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 22. გერმანული ყველი; 23. ბერძნული ხალხური ცეკვა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## 29 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად ახალი სერია

### ქართული ფენომენი

ტომი I

### თეკლა ბატონიშვილი

ახალი სერიის, „ქართული ფენომენის“ პირველი ისტორიული პერსონაჟი თეკლა ბატონიშვილია – უმცროსი და უსაყვარლესი ასული ერეკლე მეორისა. ქალი, რომლის ოჯახის დრამამ აირეკლა საქართველოს სამეფოს გაუქმების დროინდელი ყველა კონფლიქტი.

მისდამი მიძღვნილი წიგნი ეკუთვნის ისტორიკოსს, რომელმაც მთელი ცხოვრება XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის კვლევას შეალია.

პროფესორ იოსებ უთურაშვილის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ გამოკვლევასთან დაწყვილებულია თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟის – XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამორჩეული მოღვაწისა და მწერლის – ალექსანდრე ორბელიანის მოგონებები, რომლებმაც გაამდიდრა პროფესიონალი ისტორიკოსის მონათხრობი.




## ბილ გეითსს „ბიზნეს-ცოდვაში“ ამხელენ

ბილ გეითსის სამხრეთ კორეაში ვიზიტმა, ადგილობრივ ინტერნეტში დიდი ხმაური გამოიწვია. მომხმარებლები აკვირდებიან „მაიკრსოფტის“ ხელმძღვანელის ქვეყნის პრეზიდენტ პაკ კინ ჰესთან შეხვედრის ფოტოს, განსაკუთრებით ხელის ჩამორთმევის კადრს. მთელი ყურადღება ამერიკელის მარცხენა ხელისკენ არის მიმართული.

მეგობრულად მომღიმარი ბილ გეითსის თავისუფალი ხელი ჯიბეში აღმოჩნდა, აღშფოთებულნი არიან ინტერნეტ-მომხმარებლები. აზიური ქვეყნის მცხოვრებლებისთვის ეს ჟესტი უპატივცემულობის ნიშანია, – განმარტავს „კორეა ჰერალდი“.

ინტერნეტში ამერიკელი ბიზნესმენის და მეცენატის დამცველებიც გამოჩნდნენ. დიალოგებში ისინი ამტკიცებენ, რომ ამერიკული კულტურა კორეულისგან ძალიან განსხვავდება.

როგორც „ეი-ბი-სი“ ნიუსთან საუბრისას სამხრეთ კორეის პარლამენტის წევრმა ჩხუნ ჩინ-სუკმა განმარტა, ხალხს წყენის სა-



ფუძველი ჰქონდა. „შესაძლოა, ეს ყველაფერი, მისი ამერიკული სტილია, მაგრამ შეხსნილი პიჯაკი და ჯიბეში ხელი“?... ეს სამწუხარო ამბავი იყო“, – აღნიშნა კორეელმა კანონმდებელმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში „კორეა ჰერალდი“ დაარწმუნეს, რომ კონფუზთან დაკავშირებით ვაშინგტონში არანაირი ნოტა არ გაიგზავნება: ინტერნეტ-მომხმარებლებისგან განსხვავებით, სახელმწიფო მეთურის ქვეშევრდომები ვიზიტის დროს ბილ გეითსის ქცევით შეწუხებულნი არ არიან.

„მაიკრსოფტის“ დამფუძნებელს პარტნიორული ურთიერთობა ჰქონდა სამხრეთ კორეის ყოფილ პრეზიდენტ ლი მენ ბაკთან და მთავრობას ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე კონსულტაციას უწევდა. ამჯერად, ბიზნესმენი სეულში ენერგიის ალტერნატიული წყაროების და ბირთული რე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ელენე გლურჯიძე თბილისში იცეკვებს

ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა ელენე გლურჯიძე თბილისში ჩამოვა და შემოქმედებით საღამოს რუსთაველის თეატრში გამართავს. 28 აპრილს დაგეგმილ სპექტაკლში მასთან ერთად მონაწილეობას მიიღებს პრემიერი და პროდიუსერი ივან პუტროვი. ღონისძიების მხარდამჭერია ბრიტანეთის საბჭო. რუსთაველის თეატრში შეკრებილი ბალეტის მოყვარულთათვის კი შესრულდება




გლაზუნოვის „რაიმონდა“ (მესამე მოქმედება). წამყვან პარტიებს იცეკვებენ ელენე გლურჯიძე (რაიმონდა) და ივან პუტროვი (ჟან დე ბრიენი).

სპექტაკლი დადგმულია მარიუს პეტიპას ქორეოგრაფიის მიხედვით, დამდგმელი ქორეოგრაფები არიან ნინო ანანიაშვილი და ალექსეი ფადეეჩევი, დამდგმელი ქორეოგრაფის ასისტენტები – ტატიანა რასტორგუევა და ეკა შავლიაშვილი, კოსტიუმების მხატვარი – ნინო ოჩიაურია.

ამავე საღამოზე შესრულდება ერთმოქმედებიანი ბალეტი „მარგარიტა და არმანი“, სადაც მარგარიტას პარტიას იცეკვებს ელენე გლურჯიძე და ეს იქნება მისთვის პირველი შესრულება, ხოლო არმანის პარტიას – ივან პუტროვი. მუსიკა ფერენც ლისტს ეკუთვნის და ეს არის საფორტეპიანო სონატა სი მინორი. თბილისური პრემიერა გაიმართა 2008 წლის 9 მაისს. გამოყენებულია ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფია, დამდგმელი ბალეტმაისტერია გრანტ კოილი (ინგლისის სამეფო ბალეტი), სპექტაკლში გამოყენებულია სესილი ბიტონის სცენოგრაფია, მხატვარ-შემსრულებელი – დავით მონავარდისაშვილი, კოსტიუმების მხატვარ-შემსრულებელი – ნათია სირბილაძე, განათება – ამირან ანანელი, ფორტეპიანო – თამარ მაჭავარიანი.

პრიმა-ბალერინა ელენე გლურჯიძე ინგლისის ნაციონალური ბალეტის ღირსეული წარმომადგენელია. საბალეტო განათლება მან თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში და სანკტ-პეტერბურგის ვაგანოვას სახელობის რუსული ბალეტის აკადემიაში მიიღო. უკვე 10 წელია იგი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ჯაზის საერთაშორისო დღეს საქართველოც უერთდება

ეკა ირემაშვილი




ჯაზის საერთაშორისო დღეს – 30 აპრილს წელს საქართველოც შეუერთდება. 2011 წელს, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის (იუნესკო) ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება ყოველი წლის 30 აპრილის ჯაზის საერთაშორისო დღედ გამოცხადების შესახებ. გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა მთელი მსოფლიოს საზოგადოებების, სკოლების, ხალხთა სხვადასხვა ჯგუფების გაერთიანებას თარილის აღსანიშნავად, ჯაზის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ხაზგასმას და იმის გაცნობიერებას, თუ როგორ გახდა ჯაზი ამა თუ იმ კულტურის ნაწილი. იუნესკომ, როგორც ინიციატორმა, მიიღო იმ ღონისძიებების გატარების მანდატი, რომლებიც გააუმჯობესებდნენ ხალხთა შორის კომუნიკაციას და ურთიერთგაგებას.

2013 წელს, 30 აპრილს, იუნესკოს გენერალური მდივანი ირინა ბოკოვა და ჰერბი ჰენკოკი, ლეგენდარული პიანისტი, იუნესკოს კეთილი ნების ელჩი და კულტურათაშორისი დიალოგის პრომოუტერი, თურქეთის რესპუბლიკასა და თელონიუს მონკის ჯაზის ინსტიტუტთან თანამშრომლობით ორგანიზებას გაუწევენ მეორე საერთაშორისო ჯაზის დღეს.

– ჯაზის საერთაშორისო დღეს 70-მდე ქვეყანაში აღნიშნავენ, სულ 250-მდე ივენთი მოეწყობა, თუმცა ამ დღის ეპიცენტრი სტამბოლი გახლავთ, სადაც ვარსკვლავები მთელი მსოფლიოდან ჩადიან, მათ შორის არიან ისეთი მუსიკოსები რომლებიც უკვე იყვნენ საქართველოში ჯაზ-ფესტივალებზე ჰერბი ჰენკოკი, კეიკო მაცუი, ელ ჯერო, მარკუს მილერი, კრისტიან სკოტი, ბენ უილიამსი, ჯონ მაკლაფლინი. ეს იმ მუსიკოსების არასრული სიაა რომლებიც ჩავლენ სტამბოლში გალა კონცერტზე. წელს პირველად, ამ 70 ქვეყანას, სადაც ჯაზის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ, საქართველოც შეუერთდა. ამ დღეს

გაგრძელება მე-10 გვერდზე